საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 7 დეკემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი [illegible] 1 თვით 50 მანეთი, [illegible]
ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი [illegible]
ზე მეტრის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე—
3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 21.
ტელეფონი 16—62.

№ 280 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 280

ანნა სულხანიშვილისა შვილებით: ცირა, ნორა, ნინა, ფარნაოზ თავზარდაცემულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლის, ხოლო მეორენი საყვარელი მამის

ნიკოლოზ სულხანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან 12 საათზე დიდუბის პანთეონში. (6. 3—3)

ქართული სამუსიკო საზოგადოების გამგეობა გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გამგეობის წევრის კომპოზიტორ

ნიკოლოზ სულხანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას 7 დეკემბერს. (6. 3—3)

ქართულ სამუსიკო საზოგადოების სამუსიკო კოლეგია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას აუნაზღაურებელ წევრის და თანამშრომლის კომპოზიტორ

ნიკოლოზ სულხანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათ. ქაშვეთის ეკლესიაში. (6. 3—3)

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ქართულ კაპელის ლოტბარის, სახელოვანი კომპოზიტორის

ნიკო პაატას ძე სულხანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. (6. 1—1)

საქართველოს მომღერალთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა უღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას კომპოზიტორ

ნიკოლოზ სულხანიშვილის

გარდაცვალებას, პანაშვიდი ყოველდღე ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა 7 დეკემბერს ქართ. მოღვაწეთა პანთეონში. (3219 1—1)

მარიამ თომას ასული ალბაშევისა შვილებით: ნინა, აშხენი, რუბენი, ლეონი და სურენი ღრმა გულითად მადლობას უძღვნიან ყველას—მეგობრებს, ნაცნობებს და ნათესავებს, ვინც პატივი სცეს პირველის ძვირფასი ქმრის და დანარჩენთა დაუვიწყარ მამის

დავით ივანეს ძე ალბაშევის

ხსოვნას, როგორც პირადათ დასწრებით, ისე წერილობით და დეპეშით. (3220—1—1)

მიხეილ ივანეს ძე ოძელიშვილი, მარიამ სოლომონის ასული უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძმის და მეორე მაზლის

ალექსანდრე ივანის ძე ოძელიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას 7 დეკემბერს. წირვა ნაძალადევის ეკლესიაში დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (3221—1—1)

გულდამწვარი მეუღლე მარიამი ოძელიშვილი, შვილები: აკაკი, ლავრენტი და შალვა, მამა ივანე, ძმები: მიშა და არჩილი, დები: ვარა, ნინა და თამარა, სიძეები: დავითი და ვასილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას

ალექსანდრე ოძელიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მაგისტრალის ქუჩა, № 37, კვირას, 10 საათზე ნაძალადევის ეკლესიაში, დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (3209—1—1)

დამწუხრებული მეუღლე ვიტალი ადრიანის ძე, პაწაწა შვილი ირაიდა (ცაცა) ბიკოვები, დედა ნატალია, მამა ყარამანი, ძმა ირაკლი, დები: მაქულია და დუნია, რძალი ოლღა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 9 ნოემბერს 10 საათზე გადახდილი იქნება უდროვოდ დაკარგულ

მინადორა (ნადია) გვიჩიას ასული ბიკოვის

ერთი წლის წირვა და პანაშვიდი ქ. ფოთში ნახუტურის ეკლესიაში. 3213—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი აბენიკო გიორგაძე, მამა ერმოგინე, დედა ნინო კალანდარიშვილები, დები: თეკლე, კატია, ელისაბედ და მარია კალანდარიშვილები, სიძე აქსენტი ხუხუნაიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 ქრისტეშობისთვეს (ახალი სტ.) დილით სამშაბათს, 11 საათზე ბათუმში სოუქსუს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

შუშანიკა ერმოგინეს ასული გიორგაძის

სულის მოსახსენებლად. (3212—1—1)

თფ. მომხმარებელ საზ. „ალორძინების“ გამგეობა

ამით აცნობებს საზოგადოების რწმუნებულებს, რომ კვირას, 7 დეკემბერს, დილის 10 საათზე პროფესიონალურ კავშირების ბინაზე (ბარიათინის და რუსთაველის პრ. კუთხე, № 9, არამიანცის სახლი)

დანიშნულია **საზოგადოების რწმუნებულთა**

საზოგადო კრება

გასარჩევი კითხვები: 1) რწმუნებულთა არჩევნების დამტკიცება, 2) გამგეობის მოხსენება საზ. მოქმედების შესახებ 1918 წ. და ამავე წლის ანგარიში, 4) წესდების ზოგიერთი მუხლების გადასინჯვა, 5) ახალი გამგეობის კონსტრუქცია, 6) გამგეობის არჩევა და 7) მიმდინარე კითხვები.

არჩეულ რწმუნებულთა სიები გამოკრულია საზოგადოების ყველა მაღაზიებში.

(6. 3—3) გამგეობა.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბთან

არსებული სარეკვიზიციო კომისია

ამით აცხადებს, რომ თხოვნები, რომელიც შეეხება მთავარი შტაბის, რაიონულ შტაბების, ანდა თფილისის ქალაქის მილიციის მიერ მოხდენილ რეკვიზიციებს სახალხო გვარდიისათვის საჭირო საგნებზე, როგორიც არის მაგ. ცხენები, ბინოკლები და სხვ.,—მიიღება მხოლოდ 1920 წლის 1 იანვრამდე.

ისინი, ვინც აღნიშნულ რიცხვამდე თხოვნებს არ წარმოადგენენ, უყურადღებოთ იქნებიან დატოვებულნი.

მთავარ შტაბთან არსებული სარეკვიზიციო კომისია.

(სასახლე, ოთახი № 20)

1919 წ.
5 დეკემბერი, თფილისი. (5—1)

ქ. ქუთაისში საკრედიტო დაწესებულებაში

მოხამსახურეთა პროფესიონალური კავშირის მიერ პირველ დეკემბრიდან გაიხსნა

ერთ წლიანი **საბუღალტერო**

საღამოს კურსები.

მსმენელებათ ჩაწერა გრძელდება აზოვ დონის ბანკში. (3214—3—1)

სადღეისოთ

როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის, ჩვენს გარშემო აუარებელი მტერი გვეხვია. თავისუფლება ქვეყნისა არავის სწამდა. მტერი სიხარულით, მოყვარენი გულისტკენით აღნიშნავდენ, რომ მდგომარეობა კრიტიკული იყო.

ამან შეაერთა ყველა პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები, შეაბა ერთ უღელში. საქართველოს ყველა სასიცოცხლო ძალა გადაიქცა მის მზრუნველ ძალად.

და ამან იხსნა ჩვენი ქვეყანა მრავალ შინაურ და გარეშე გასაჭირისაგან.

დღეს, წელიწად ნახევრის შემდეგ სურათი შეიცვალა. რესპუბლიკის დამოუკიდებლობამ ფესვები მაგრად გაიდგა. ხალხის ცხოვრება ასე თუ ისე მოეწყო, ქვეყანა ნორმალურ მდგომარეობას უახლოვდება. ევროპის მიერ ცნობაც, რაც წინათ უდიდეს საკითხათ ითვლებოდა, დღეს ასე მწვავეთ აღარ დგას. საქართველო თავის შინაურ ძალებს სავსებით დაეყრდნო, ცენტრი სიმძიმისა შინაურ მოწესრიგებაში გადმოვიდა.

და ამასთან ერთად გაიშალა ახალი წინააღმდეგობანი.

დღემდე არსებული ერთგვარი ზავი პარტიათა შორის, თანდათან გაქრა და პარტიული ბრძოლა გამწვავებულ ხასიათს იღებს.

წვრილ ბურჟუაზიული ფანტაზიორები ს. ფ. და ს. რევ. თავის პარტიული კაპიტალის შესაძენათ მარცხენა ფრთაზე გადასკუპდენ და უკიდურესი სოციალისტობის დროშაააფრიალეს, მართალია მათი სოციალისტობა მხოლოდ-და ფრაზებში გამოიხატება, მაგრამ მთავრობის საკრიტიკოთ და დასაწუნებლათ ეს ფრაზების რახარუხიც საკმარისია.

სამაგიეროთ უფრო სასტიკ და სისტემატიურ ბრძოლას შეუდგა ჩვენი „ნორჩი ბურჟუაზიის“ იდეოლოგიის მატარებელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. იგი სავსებით სდგება ბურჟუაზიულ ნიადაგზე, მას ეჯავრება სოციალიზმი ეჯავრება ჩვენი დემოკრატიული პოლიტიკა, ბრაზს გვრის მუშათა კლასის ინტერესების მთავარ საზრუნავ საგნათ დასახვა.

მისი მიზანია აშ სოციალისტურ მართველობის ძირის გამოთხრა, განიავება და ნამდვილი, ბურჟუაზიული მთავრობის შექმნა. კლასიური მორიგების ხანა გავიდა. თუ დღემდე კიდევ ემორჩილებოდენ ქალაქის მუშათა და მოწინავე სოფლის მეურნეთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, დღეს მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ.

მართალია, ჩვენი ბურჟუაზია არ იბრძვის იარაღით, მაგრამ იგი მზათაა ყოველი უკმაყოფილებით ისარგებლოს მთავრობის წინააღმდეგ.

დამფუძნებელმა კრებამ შემოიღო გადასახადი. ეროვნულ დემოკრატებმა მას ხმა მისცეს, დაადასტურეს. მაგრამ ხალხში გაისმა თუ არა უკმაყოფილება, წამსვე ზურგი იბრუნეს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მთავრობას უტეხენ სახელს იმაში, რაშიაც თვითონ ეთანხმებოდენ. თვით ბოლშევიკ ყაჩაღების გამოსვლაც კი მათ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღათ გამოიყენეს. და ვინც დაუკვირდება დამფ. კრების უკანასკნელ სხდომებს, ან ათვალიერებს ნაციონალისტების გაზეთებს, ერთ უტყუარ ნიშნებს წააწყდება: ბურჟუაზია მთელი თავის იარაღით და თავის ხმლით იბრძვის დღევანდელი მმართველი პარტიის წინააღმდეგ.

ყოველი განხეთქილება დემოკრატიის წრეებში, ყოველი გაუგებრობა, ყოველი უკმაყოფილება მათ უკვე თავის ინტერესების სასარგებლოთ სურთ გამოიყენონ.

მაშ, ეროვნულ იდეოლოგიის ფრაზებში გამოხვეული აქვთ დიდი და ძირითადი ინტერესები ვაჭარ-მრეწველთა ვიწრო ჯგუფებისა. დემოკრატიულმა წრეებმა უნდა შეიგნონ ეს მთავარი, ჩვენის აზრით, მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე ძლიერი კლასის ასეთი დაუზოგველი თავდასხმის მნიშვნელობა. დღეს დგას დიდი და რთული საკითხი: განმტკიცებულ იქნება დემოკრატია, თუ ჩვენ ბურჟუაზიულ კონსერვატიულ სახელმწიფოს ბრჭყალებში მოვიქცევით? განმტკიცებულ იქნება ბატონობა ხალხის, თუ მის შეუგნებლობაზე და შინაურ განხეთქილებაზე ააგებს თავის ტახტს მომავალი ბურჟუაზიის ძალა? ს. ფედერალისტებს, და ესერებს, როგორც არსებითათ ბურჟუაზიულ წრეებს, მხოლოდ სოციალისტურ ფრაზებით გაპრუჟებულთ შეუძლიათ მხოლოდ ბრმა იარაღი გახდენ ამ მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის იდეოლოგების, როგორც ამას ვხედავთ ხშირათ დამფ. კრების ტრიბუნაზე.

სოციალდემოკრატიას, როგორც არსებითათ ერთათ ერთ რევოლიუციურ და პროლეტარულ იდეოლოგიის სისწორით მატარებელს, მართებს ყველა თავის ძალების მობილიზაცია, რომ მასზე დაკისრებული მძიმე ისტორიული მოვალეობა პირნათლათ შეასრულოს.

საქართველოს დემოკრატიას ამ მხრივ, სრული იმედი გვაქვს, მთელი თავის ძალღონით ჩვენთან იქნება. და ეს გვაძლევს მხნეობას ამ მუშაობას გაათკეცებული ხალისით და ენერგიით შევუდგეთ.

მიეშველეთ ხევ-მთიულეთს

საშინელი ამბავი მოდის ხევ მთიულეთიდან. დამშეულმა ხალხმა სათესლე ხორბალი უკვე შესჭამა და ათასობით ილტვის კავკავისაკენ. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია გვატყობინებს, რომ ოთხასი კომლი მოხევე უკვე გადასახლდა ჩრდილო კავკასიაში. დარჩენილნი განუსაზღვრელ გაჭირვებას განიცდიანო. კავკავისაკენ გზები შეუკრავთ. „ივერიის“ ცნობით, მოხევენი თავიანთი ცხენებით ტყვეთ მოექცენ და უკან აღარ უშვებენ.

უღელტეხილს გადაღმა ჩვენდამი მტრულად განწყობილი დობრარმია ბატონობს. დამშეული ხალხის გამწარება იმდენათ ძლიერია, რომ ის მტრის ბანაკში სახლდება. რა უნდა ითქვას და დაიწეროს ამ საშინელ ტრაგედიის შესახებ. შიმშილის აჩრდილი წელს მთელ საქართველოს დასცქერის თავს. ამის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა, ძლიერ ბევრი ითქვა. ხოლო საჭირო იყო ნაკლები ლაპარაკი და მეტის კეთება. რეზოლიუციები, დადგენილებები, დაწესებულებათა გამუდმებული რეორგანიზაცია, ახალი პროექტები, ჩვენ ძლიერ გვეხერხება და გვგონია, რომ ეს საქმეა, რომ ეს ყველაფერია. ამ საქმეზე ისედაც ბევრი ლაპარაკია. საჭიროა არა საკანცელარიო და საპუბლიცისტო კალმების წრიპინი, არამედ ჩქარი და სწრაფი საქმე. ხორბალი, ნამდვილი ხორბალი, ტომრაში ჩაყრილი, ურემზე დადებული, ვაგონში დატვირთული და არა პროექტები და მოწინავე წერილები. რესპუბლიკის საუკეთესო ძალები, დემოკრატიის ენერგიის უდიდესი ნაწილი აქეთკენ, სასურსათო საკითხის გადაჭრისაკენ უნდა მიემართოს. ყველა და ყველაფერი, საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივა ერთად, ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მიეშველონ ერს, სამშობლოს, რესპუბლიკას, თავისუფლებას— ყველაფერი ეს საფრთხეშია. ამ საქმეში პარტიული ჯინიანობა და პოლიტიკური ანგარიშები მომაკვდინებელი ცოდვაა.

ხევის ტრაგედია დასაწყისია იმ საშინელების, რომელიც რესპუბლიკას მოელის, თუ არაჩვეულებრივი და გმირული ზომები არ იქნა დროზე მიღებული.

ლაპარაკი და ყბედობა კმარა. ჩქარა საქმე! სწრაფათ რეალური ნაბიჯები. მიეშველეთ ხევს, გადაარჩინეთ ერის ნაწილი შიმშილით ამოხოცვისაგან; დაიცავით მტრულ ბანაკის წინ აყუდებული რესპუბლიკის ავანპოსტი!

ცხოვრებ. სიძვ. და მუშის ხელფასი საბჭ. რუსეთში

საბჭოთა რუსეთში კაპიტალისტური წესწყობილება დანგრეულია. ამ ნანგრევებზედ აშენდა ახალი სანეტარო ცხოვრება. განხორციელდა კომუნიზმი, პროლეტარიატის მეფობა. თუ ეს ასე არის, თუ რუსეთში მუშათა სამეფოა, თუ იქ მშრომელი განთავისუფლდა ეკონომიური მონობისაგან, თუ თავი დააღწია კაპიტალის მონობას, მაშინ და დედამიწის ერთ ნაწილზედ მართლაც სამოთხე ყოფილა. შევიხედოთ ამ სამოთხეში. როგორ ცხოვრობს მშრომელი საბჭოთა რუსეთში? ბედნიერია იგი? აშორდა მას თავის ტეხა, რომ სიმშილისაგან სული არ ამოუვიდეს? აი ცნობები სურსათის ფასებისა საბჭოთა რუსეთის სატახტო ქალაქში. ეს ცნობები შეთხზული არ არის, ისინი ამოღებულია კომუნისტების გაზეთიდან.

მოსკოვში ივლისის დამლევს ასეთი ფასები იყო:

შავი პური 50 მ. გირ., თეთრი 120 მ. გირ., შავი ფქვილი 2000 მ. ფუთი, თეთრი 3000 მ. ფ., ლობიო 50 მ. გ., შაქარი 210—220 მ. გირ., მარილი 55—60 მ. გირ., ერბო 260 მ. გ., ზეთი 180—200 მ. გ., რძე 20 მ. ჭიქა, ღორის ხორცი 220—260 მ. გ., კარტოფილი 20 მ. გ., ხახვი 30—35 მ. გ., კვერცხი 150—160 მ. ათი ცალი, ჩაი 800 მ. გირ., საპონი 65—70 მ. ნაჭერი, წუწუმა 7 მ. კოლოფი, პაპიროსი 45 მ. კოლოფი.

თვით კომუნისტები აღიარებენ, რომ ეს ფასები სპეკულიანტების მიერ დაწესებულნი არიან და კომუნისტებს არა აქვთ ძალ ღონე სპეკულიაციას ბოლო მოუღონ. არც ძალ ღონე და არც სურვილი, ვინაიდგან სწორედ ეს სპეკულიანტები დიდ სამსახურს უწევენ კომუნისტებს, თორემ ქალაქ მოსკოვის მოქალაქენი სრულიად გაწყდებოდენ. კომუნისტების ნორმები სურსათისა, მაგალითად 1 მერვედი გირვანქისა პურის დღეში, სრულიად არ არის საკმარისი. კომუნისტები სპეკულიაციას ხელს აფარებენ და კომუნისტების სამეფოს დედა ქალაქში კერძო ვაჭრობას კარგათ აქვს ფეხი მოკიდებული.

რა ხელფასი უნდა მიიღოს მუშამ, რომ ამ ფასებს გაუძლოს? რა მძლავრი უნდა იყოს სახელმწიფოს ხაზინა, რომ იტვირთოს მუშების დაკმაყოფილება იმ ზომად, რომ მათ შეეძლოს მიყვენ ამ საშინელ ზღაპრულ ფასებს? ვერავითარი ბიუჯეტი მუშისა ამ ფასებს ვერ აიტანს. თუ ბაზარი არის, თუ ბაზარზედ სურსათი და სანოვაგე მოიპოვება, ალბათ არის მყიდველიც, რომელსაც შეუძლია აიტანოს ასეთი ფასები. რასაკვირველია, ვერც მუშა, და ვერც მოსამსახურე ამ ფასებს ვერ გაუძლებს. მაშ ვისთვის არის ეს სანოვაგე დამზადებული, ვინ გამოდის ბაზარზე და იძენს მას? ვშიშობ, რომ ეს ის ბურჟუაზია არის, ის შეძლებული, კაპიტალის პატრონი არის, რომლებიც თითქოს, მოსპეს კომუნისტებმა.

ზემო მოყვანილი ცნობები კომუნისტების მიერ გამოქვეყნებული საუცხოვო მაჩვენებელია იმისა, რომ მთელი მიმართულება კომუნისტებისა, მათი არსებობის ნიადაგი ყალბია და ფუჭია, ეს ცნობები უარყოფენ კომუნისტების პოლიტიკას. კომუნისტების სამეფოში მუშა შიმშილისაგან იხოცება. მისთვის ცხოვრების პირობები სრულიად აუტანელია და ცხოვრების სიძვირეს არამც თუ ვერ სძლიეს კომუნისტებმა, არამედ გააძლიერეს, გააძლიერეს ის პირობები, რომლებიც ამ სიძვირეს ქმნიან. კომუნისტების ბატონობა, როგორც სჩანს არის განადგურება ეკონომიური სწორ მსვლელობისა. კომუნიზმს არა აქვს ნიადაგი არსებობისა ეხლანდელ პირობებში.

რა მიზეზებით არის გამოწვეული ასეთი ფასები სურსათსა და სანოვაგეზე? მთელი სურსათისა და სანოვაგის დამზადება ხომ კომუნისტების ხელშია. საქმე იმაში არის, რომ სურსათის დამზადება ისეთი ძნელი შეიქნა, რომ კომუნისტებმა მას ვერ სძლიეს. სურსათი არ ყოფნის და მოთხოვნილება კი ძლიერ დიდია.

რა ხელფასი არის მუშის? მოსკოვის სამრეწველო ოლქში მანუფაქტურის წარმოებაში არის ასეთი ხელფასი: დღიური უმცირესი 39 მან. 75 კ., უმაღლესი 75 მ. 70 კ. შესაძლებელია თუ არა მუშამ, რომელსაც აქვს 75 მ. დღეში, თავი დაირჩინოს და შიმშილისაგან არ მოკვდეს, როდესაც გირვანქა პური ღირს 50 მ., ლობიო 50 მ., შაქარი 210—220 მ. ჩაი 800 მან. რა თქმა უნდა ყოვლად შეუძლებელია, რომ მუშის ბიუჯეტი მისწვდეს ამ ფასებს. რა გამოსავალი არის ასეთი მდგომარეობიდან და საერთოდ არის თუ არა გამოსავალიც. კომუნისტები მიხვდენ, რომ ხელფასის მომატება საქმეს ვერ უშველის და მუშას შიმშილისაგან ვერ გადაარჩენს. ამას გარდა სახელმწიფო ვერც შესძლებს იმდენათ გადიდებას ხელფასისას, რომ გაუადვილოს ცხოვრება, ვინაიდან ხელფასის გადიდება იწვევს ფულების ბეჭვდის ზრდას და ეს კი სრულებით არ გააადვილებს ცხოვრებას. კომუნისტები სულ სხვა გზას დაადგენ. ისინი ცდილობენ გააძლიერონ შრომის ნაყოფიერება; თუ შრომის ნაყოფიერება გაძლიერდება იმატებს ნაწარმოების რიცხვი ბაზარზედ, ეს კი დასწევს ფასებს. რანაირად შეიძლება შრომის ნაყოფიერების გაძლიერება? კომუნისტებმა შემოიღეს მუშაობის ნარდათ გადაცემა და აძლევენ პრემიებს, განსაკუთრებულ ჯილდოს მათ, ვინც მეტს შექმნის. მაშასადამე, თუ მუშა მუყაითი არის, იგი ნარდათ აღებულ სამუშაოს მეტის სისწრაფით შეასრულებს, მეტ ხელფასს მიიღებს, მიიღებს მეტ შეძლებას ცხოვრებისას. პრემიები კი უფრო ხალისიანათ აამუშავებს და მუშა კიდევ უფრო გააძლიერებს თავის შრომის ნაყოფიერებას. ეს ძლიერ კარგი საშუალებანი არის, მაგრამ ასეთი წესი გააუმჯობესებს მუშების ნაწილის მდგომარეობას, მუშები, მშრომელნი კი ისევ იმ საშინელ პირობებში დარჩება, რომელშიც იგი იმყოფება.

შიმშილი უდიდესი ბედნიერებაა, რომელიც წილად ხვდა კომუნისტების მოქალაქეებს.

ხ. ავალიანი.

პრესა

ერევნის გაზ. „ჟოღოვრდი“ № 140 (სომხური სახალხო პარტიის ორგანო) თავის მეთაურში — „ამიერ-კავკასიის ერების სოლიდარობა და გაბატონებული პარტიები“—სწერს:

„აზერბეიჯანში გაბატონებული პარტია „მუსავატი“ მუდმივი მუქარაა ამიერ კავკასიისთვის. მისი დაცემა უეჭველათ საჭიროა, მაგრამ ვინ უნდა დაიჭიროს მისი ადგილი? თუ მარჯვნიდან დასცემენ მას, უნდა ითქვას, რომ იქ არიან ფეოდალიზმის, შოვინიზმის და ფანატიზმის ისეთი წარმომადგენლები, რომლებთან შედარებით ქართველი ნაციონალ-დემოკრატები ანგელოზები არიან. უნდა ვიფიქროთ, რომ მარცხენა ფრთის გამარჯვებით ცოტაოთი მაინც მოსათმენი იქნება აზერბეიჯანის პოლიტიკა.

„სომხეთში გაბატონებულ პარტიის დაშნაკცუტიუნის მოშორება, უეჭველი პირობაა სამი მეზობელი ერე-

დღეს

უმაღლესმა საბჭომ საპროტესტო ნოტით მიმართა გერმანიას იმის გამო, რომ მან პოლიციის სახით შეიარაღებული ძალა გაადიდა, წინააღმდეგ ვერსალის საზავო ხელშეკრულებისა.

უმაღლესმა საბჭომ რუმინიას საპასუხოდ ვადა გაუხანგრძლივა იმ მიზნით რომ მას შეძლება მისცეს საბჭოს გადაწყვეტილებათა თანახმად მოიქცეს.

სკაპაფლოში დაღუპვისაგან გადარჩენილი გერმანელთა პატარა გემები გადაეცემა მოკავშირე პატარა სახელმწიფოებს.

„მორინგ პოსტის" გადმოცემით საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს ლიტვინოვს მინდობილი აქვს ინგლისის და საბჭოთა მთავრობებს შორის ზავის შეკვრა. ამას გარდა, ლიტვინოვს მიზნათ ჰქონია დასახული საფრანგეთსა და ინგლისს შორის უთანხმოების ჩამოგდება.

გერმანია—პოლონეთს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით, ის ოლქები, რომლებიც პოლონეთს დაეთმო, უნდა განთავისუფლებულ იქნეს სამხედრო ძალებისაგან და გადაეცეს სამოქალაქო მართველობას.

ბის მუდმივი სოლიდარობის თვალსაზრისით. მაგრამ რომელ ფრთას,—მარჯვენას თუ მარცხენას ხელში ჩავარდნა ემჯობინება? ამ საკითხის საპასუხოთ უნდა მივუთითოთ ერთ გასაკვირველ მოვლენას, რომლის მსგავსსაც ვერ ვხედავთ ვერც საქართველოში, ვერც აზერბეიჯანში, ეს შემდეგია:

„იმ დროს, როცა საქართველოში და აზერბეიჯანში შოვინიზმის და აგრესიული ნაციონალიზმის კერა ძლიერია, საზოგადოებრივი მიმდინარეობების მარჯვენა ფრთაში, სომხეთში ისტორიული, თავისებური პირობების წყალობით იგივე კერა იპოვება ცენტრში: სომხეთში შოვინიზმის რეკორდის ამღები პარტია—დაშნაკცუტიუნია. არც ერთ მიმდინარეობას სომხებში ისე ხელი არ შეუწყვია სიძულვილის განვითარებისათვის მეზობლების მიმართ, როგორც არარატის რესპუბლიკის მაუზერ-სოციალიზმს. სომეხ საზოგადოებრივ მიმდინარეობის ცენტრია ის ადგილი, სადაც ერთმანეთს ჩამკონგბი ნ გიჟური ავანტიურიზმი, ადვირაწახსნილი ოლიგარხია და გახეჩებული ნაციონალიზმი. მარჯვენა და მარცხენა მიმდინარეობანი ჩვენში უფრო მომთმენნი და მშვიდობიანი არიან. სომხეთში თუ ძალა-უფლება გადავიდა მარჯვენა ან მარცხენა ფრთის ხელში, ეს იქნებოდა მთელი გმოქმ ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა და ხალხების დამოკიდებულებათა ისტორიაში, გაანელებდა ყველას გულში დაგროვილ სიძულვილს და მშვიდობიანობას მოუტანდა განსაკუთრებით მრავალ ტანჯულ სომეხ ხალხს.

„ამ წერილში გამოთქმული აზრების დასკვნა ასე შეიძლება: ამიერ-კავკასიის ერების დამოკიდებულებათა გაუმჯობესობისთვის საჭიროა: 1) საქართველოში ძალა უფლების დარჩენა სოციალ-დემოკრატების ხელში, 2) ადერბეიჯანში მუსავატის დაცემა და ძალა-უფლების გადასვლა მარცხენა ფრთის ხელში და 3) სომხეთში ძალა-უფლების გადასვლა დაშნაკცუტიუნის ხელიდან მარჯვენა ან მარცხენა ფრთის ხელში.

„უკეთუ ამიერ-კავკასიის ერების სოლიდარობის გულწრფელ მეგობრებს არ უნდათ, რომ დათვური სამსახური გაუწიონ ზემოხსენებულ ერებს, უნდა ერთი წუთითაც არ დაივიწყონ ეს ფორმულა, როგორც გზის მაჩვენებელი თავიანთი პოლიტიკური პროპაგანდის და ბრძოლის დროს".

მარცხნით თუ მარჯვნით,—აი როგორ აყენებს საკითხს ზომიერი სომხური სახალხო პარტია. მარჯვენა მიმდინარეობაში ის ვერ ჰპოვებს საიმედო დასაყრდნობ ძალას, ვერც ადერბეიჯანში, ვერც სომხეთში, მაგრამ ვერც უკიდურესი მარცხენა მიმდინარეობა იქნება ჭრილობის მალამო. მაშასადამე, დარჩა ერთი მიმდინარეობა და ეს ის მიმდინარეობაა, რომელიც ამ ჟამად და დღიდან რევოლიუციისა განაგებს საქართველოს ბედს—საქართველოს დემოკრატია, მისი მებაირაღტრე სოციალ-დემოკრატია. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობას მხოლოდ მაშინ ჩაეყრება მკვიდრი საძირკველი, როცა ეს მიმდინარეობა გაბატონდება სომხეთში, ადერბეიჯანში ისე, როგორც ის გაბატონებულია საქართველოში. აი აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ყველა არა თუ სოციალისტის, არამედ—გულწრფელი დემოკრატის მოღვაწეობა.

დამფუძნებელი კრება

5 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მდივანი.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა ტყის მფლობელობის და სარგებლობის შესახებ.

კანონპროექტი ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოების მთავრობისადმი წარდგენის შესახებ.

მომხსენებელი **ეკვთ. თაყაიშვილი** აღნიშნავს, რომ ამ კანონპროექტის აზრი მარტივია: ჩვენ გვინდა, რომ ყველა ის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლიც ჩვენს ტერიტორიაზე იბეჭდება, მოიპოვებოდეს ჩვენს წიგნთ საცავებში. ამიტომ ამ კანონპროექტის ძალით უნდა დაევალოს ყველა სტამბას ყველა ნაწარმოების 14 ცალი წარუდგინოს მთავრობას განაწილებლათ წიგნთსაცავთა შორის, როგორიცაა: დამფუძნებელი კრების, საქართ. საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების, სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვ. ამ 14 ცალიდან 2 ცალი ეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს, 12 კი—განათლების სამინისტროს.

გ. ნათაძე აცხადებს, რომ სოც. რევოლიუციონერთა ფრაქციას კანონპროექტის მიღება იმ სახით, რომლითაც ის წარმოდგენილია, შეუძლებლათ მიაჩნია. ის აღნიშნავს, რომ კანონპროექტი იურიდიულ კომისიას შეუცვლია და შიგ შეუტანია ისეთი ელემენტი,—სახელდობრ ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოველგვარ ნაწარმოებს თვალყური უნდა ადევნოს—რომელიც ერთგვარ ცენზურას გულისხმობს და რომლის მიღება ჩვენს ფრაქციას შეუძლებლათ მიაჩნია, თუ არ იქნა შესწორებული.

რ. არსენიძე (ს. დ.) ამტკიცებს, რომ არავითარ ცენზურას არ გულისხმობს კანონ-პროექტი. სახელმწიფო მოვალეა,—ამბობს ის,—თვალყური ადევნოს ყოველგვარ დანაშაულს და სათანადო ზომებით ებრძოლოს ბოროტმოქმედებას. შეიძლება თუ არა ჩადენილ იქნას ბოროტ-მოქმედება მწერლობით, პრესით? დიახ, შეიძლება. და ამ ბოროტ მოქმედებას უნდა ებრძოლოს იგი ორგანო, რომელიც ებრძვის ქურდობას, ყაჩაღობას, მკვლელობას და სხვა ამ ხასიათის ბოროტ-მოქმედებას. ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტრო. სოც. რევოლიუციონერები წინააღმდეგი არიან იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აწარმოვოს ეს ბრძოლა. მათ ელანდებათ ძველი დროის შინ. საქ. სამინისტრო, ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ გვყავს დემოკრატიული მთავრობა, რომელიც დარაჯია რევოლიუციის და მისი მონაპოვრების. დემოკრატიული მთავრობა, როგორც რევოლიუციის დარაჯი, მოვალეა სასტიკათ ებრძოლოს ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებას (გ. გვაზავა: ეს არის გაუმარჯოს თავისუფლებას?) მე მგონია, რომ ნამდვილი თავისუფლება შეიძლება მაშინ, როცა მოქალაქენი შეეჩვევიან თავის სამოქმედო ფარგლებს (ივ. გობეჩია: ნაც.-დემოკრატებმაც იცინიან) ისინი იმიტომ იცინიან, რომ თქვენს უგუნურ აზრებს ისმენენ (საერთო სიცილი). დასასრულ ორატორი ამტკიცებს, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტი სრულიად არ ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპებს, პირიქით, ის ემსახურება ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებას და ამიტომ მიღებულ უნდა იქნას.

ი. ნუცუბიძე (ს. რ.) წინააღმდეგია წარმოდგენილი კანონ პროექტის.

გ. გვაზავა (ნაც. დემ.) პრინციპიალურათ იზიარებს კანონ-პროექტის აზრს, მხოლოდ მოითხოვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრესის საშუალებით ჩადენილ ბოროტმოქმედებას ებრძოლოს უფლებრივ ნიადაგზე—სასამართლოს საშუალებით.

გრ. გიორგაძე (ს. დ.) აღნიშნავს, რომ საკითხი არ არის სწორად დასმული. საკითხი ეხება არა იმას, შემოღებულ იქნას თუ არა წინასწარი ცენზურა, არამედ იმას, მთავრობას ჰქონდეს თუ არა უფლება თვალ ყური ადევნოს ყველა იმას, რაც იწერება. (სოც. რევ. სკამებიდან. ეს არის წინასწარი ცენზურა!) თქვენ ცუდათ გაგიგიათ წინასწარი ცენზურის შინაარსი. წინასწარი ცენზურა იმაში მდგომარეობს, რომ, სანამ ნაწარმოები დაიბეჭდებოდეს და ხალხში გავრცელდებოდეს, მანამ ცენზორი წინასწარ იხილავს ნაწარმოებს და თუ საჭიროდ არ დაინახა, არ მისცემს დაბეჭდვის ნებას. ამ კანონ-პროექტით კი ეს ასე არ ხდება. ნაწარმოები იბეჭდება, ხალხში ვრცელდება და ამავე დროს მთავრობას ეგზავნება ფოსტით, სად არის აქ წინასწარი ცენზურა? აქ წარმოითქვეს სიყალბე და ამ სიყალბით ისინი უმასპინძლდებიან ხალხს. ჩვენ კი გვინდა ხალხმა გაიგოს, რომ ჩვენ არავითარ წინასწარ ცენზურას არ ვატარებთ. ჩვენ გვინდა, რომ მთავრობამ თვალყური ადევნოს იმას, რაც ხდება რესპუბლიკაში, მეორეს მხრივ—არქივებში იყოს ყველა ნაწარმოები, რომელიც კი რესპუბლიკის ფარგლებში გამოდის. ყველა ის, ვინც მომხრეა რომ სახელმწიფო მკვიდრ ნიადაგზე იდგეს, ამ კანონპროექტს ხმას მისცემს, იმათ კი, ვინც ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ, სურთ უპასუხისმგებლობის დაკანონება და სახელმწიფოს სიმტკიცის შერყევა.

შემდეგ ორატორი უპასუხებს გვაზავას, რომელიც მოითხოვდა, რომ მთავრობამ სასამართლოს საბუთებით ებრძოლოს ყოველგვარ ბოროტმოქმედებასო და ამბობს, რომ დღეს არაჩვეულებრივი პირობებია: ჩვენს წინააღმდეგ მოდიან თოფით, ტყვიის მფრქვევლებით და ზარბაზნებით, ამავე დროს არიან ჯგუფები, რომლებიც ჩვენს ხალხს ეუბნებიან, არ გადიხადოთ გადასახადი, არ წახვიდეთ ჯარში, მთავრობა ჩამოართმევს ყოველგვარ მაშინებს და სახელმწიფოთ გახდის. ასეთ არა ჩვეულებრივ პირობებში მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია დემოკრატიის წინაშე ვალდებულია თუ არა ჩვეულებრივი ზომებით ებრძოლოს ბოროტ მოქმედებებს? დიახ, ვალდებულია—კიდევაც ებრძვის. ჩვენ პრინციპიალურათ მომხრე ვართ ბოროტ მოქმედებასთან სასამართლო წესით ბრძოლისა, ამას ჩვენ ვეტრფით, მაგრამ როდესაც ამას პრაქტიკული ცხოვრება მოითხოვს, მთავრობამ რესპუბლიკის და მისი ინტერესების დასაცავათ არაჩვეულებრივ ზომებსაც უნდა მიმართოს. აი ყველა ამ მოსაზრებების გამო ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონპროექტს.

მომხსენებელი **თაყაიშვილი** ამბობს: მე ყველაფერს მოველოდი, მაგრამ იმას კი არ მოველოდი, რაც აქ ამ კანონპროექტის გარშემო ილაპარაკეს. აქ სალაპარაკო არაფერი იყო, მთავრობამ თავის თავათ უნდა ადევნოს თვალყური ყოველგვარ მოვლენას, რაც სახელმწიფოში ხდება. თქვენ, ბატონებო, ან სულ უარი უნდა სთქვათ შინაგ. საქმ. სამინისტროზე, ანდა უნდა მიეცეს მას უფლება ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებასთან ბრძოლისა აქ ამბობდენ, რომ განმარტება შეცვლილია და სხვ. ბ. განმარტება ჩემი ნაწერია: (გობეჩია: არა, წაიკითხეთ!) ბატონო ვიცი რაც სწერია, ის ჩემი ნაწერი გახლავთ. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს აუცილებელ საჭიროებას ისტორიისათვის ყველა იმ ნაწარმოებისა, რაც იბეჭდება სახელმწიფოში. განსაკუთრებით ჩვენ არა გვაქვს, ამბობს ის,- რევოლიუციის დროის ნაწარმოებები. (ასათიანი ადგილიდან: არც არის საჭირო). არა, ბატონებო, ეს მართალი არ არის. რევოლიუციის დროის ნაწერები განსაკუთრებით საჭიროა, რადგანაც ისტორიამ უნდა გასაჯოს, თუ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი (მ. ხოჭოლავა და პ. საყვარელიძე ეს ისმინე და დაიხსომე ასათიანო). მომხსენებელი აბათილებს ყველა იმ მოსაზრებებს, რომელიც კანონპროექტის წინააღმდეგ იყო წამოყენებული და მოითხოვს, რომ ის მიღებულ იქნას.

დასრულდა კანონ-პროექტის ზოგადათ განხილვა მუხლობრივი განხილვა მოხდება ერთი კვირის შემდეგ.

ს. ჯაფარიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სასამართლო უწყების დაწესებულებათა შტატების შემცირებისა, ჯამაგირის მომატებისა და ზოგიერთ სხვა ცვლილებათა შესახებ.

შემდეგ დახურულ კარებში მოხდა განხილვა დეკრეტის სახალხო გვარდიის შესახებ.

დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

6 დეკემბერი

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი დეკ. 5 (დასაწყისი არ მიგვიღია). დასავ. ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია, ჟიტომირის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. კიევის რაიონში მდ. ირპენზე ბრძოლაა. ზოლოტნიშის მიმართულებით ქ. პრილუკის სამხრეთით 10 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. გადიაჩის მიმართულებით ქ. რომნის აღმოსავლეთით 15—30 ვერსზე ჩვენი ჯარი მდ. სუპოიზე გადავიდა და აიღო დაბა დიდულგა, რაჩაენო და სოფლები. სუმის და ხარკოვის მიმართულებით ჩვენ ქ. ახტირკა ავიღეთ. კურსკის—ხარკოვის მიმართულებით ბელგოროდის ჩრდილოეთით 35 ვერსზე ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვევლები 1 ზარბაზანი და სხვა ქონება. რკინის გზით დასავლეთით ჩვენ მხარეზე მტრის როტა გადმოვიდა. ვალუიკის მიმართულებით ნოვო ოსკოლის სამხრეთით 30 ვერსზე სად. ბიბიკოვკა ავიღეთ. აღმოსავლეთით ბირუჩთან ბრძოლაა. პავლოვსკის ჩრდილოეთით ერთ ვერსზე სოფლები ავიღეთ და შეტევას განვაგრძობთ. კალაჩის მიმართულებით ჩვენ ქვემო კრიუშა და სკრიპნიკოვი დავიჭირეთ. ხოპრსა და დონს შუა ჩვენი შეტევა კარგათ ვითარდება. უსტ-ბუზულუკის დასავლეთით 35 ვერს. ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 100 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 1 ზარბაზანი და 1 ტყვიისმფრქვეველი. ცარიცინის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. ბარნაულის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება (დასასრული არ მიგვიღია).

ფრანგული რადიოს ცნობები.

უმაღლესმა საბჭომ კლემანსოს თავმჯდომარეობით ოთხშაბათს შეიმუშავა პასუხი რუმინიის ნოტაზე; მან აგრეთვე რუმინიას გაუგრძელა ვადა იმ მიზნით, რომ მას შეძლება ექნეს უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებათა თანახმად მოიქცეს. შემდეგ საბჭომ გერმანიის მთავრობას მიმართა საპროტესტო ნოტით იმის გამო, რომ გერმანიამ შეიარაღებული ძალა გაადიდა ვერსალის ხელშეკრულების პირობათა წინააღმდეგ.

საბჭომ ხუთშაბათისათვის გადასდო პასუხი, რომელიც გერმანიის უკანასკნელ ნოტაზე უნდა მიეცა, სკაპა ფლოში ფლოტის დაღუპვის შესახებ.

უმაღლესი საბჭო დასთანხმდა ახალი ექვსდღის ვადის მიცემაზე, რომელიც 8 დეკემბერს თავდება, რათა მიიღოს პასუხი ავსტრიისა და უნგრეთისაგან საბჭოს მიერ აღნიშნულ საზღვრების საკითხზე და საზავო ხელშეკრულების პირობათა ხელის მოწერაზე, რომლითაც მცირე ეროვნებათა საკითხი უნდა მოწესრიგდეს

გუშინ ბირჟაზე ფასმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია: დოლარი—10 ფრ. და 30 ს.; გირვანქა სტერ. 40 ფრ. და 10 ს.

ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარემ პოლკმა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარეს ფონ-ლერსნერს აცნობა, რომ გერმანიამ თავის დანაშაულათ უნდა ჩასთვალოს ვაშინგტონის მიერ ვერსალის ხელშეკრულობის რატიფიკაციის დაგვიანება. ამერიკის სენატი არასდროს არ დაეთანხმება იმას, რომ გერმანიამ თავისი ვალდებულება არ შეასრულოს.

…(დასაწყისი არ მიგვიღია). უმაღლესმა საბჭომ ამას უპასუხა ახალი ნოტით, სადაც იხსენებს იმ მუხლებს, რომელთა შესახებ საბჭო დიდი ხანია რაც დაკმაყოფილებას ითხოვს. საბჭო ასე ათავებს: „უმაღლესი საბჭო რომ ფორმალურ ნიადაგზე იდგეს, მაშინ რუმინიასთან მოლაპარაკება უნდა შეეწყვიტა. მაგრამ, გვსურს რა, რომ ჩვენი ერთის მხრივ მოთმინების და მეორე მხრივ მწუხარების გამოჩენა იმ შემთხვევაში, თუ რუმინია მოკავშირეებთან დამოკიდებულებას შეაწყვეტს, უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა მისცეს მას უკანასკნელი ვადა, რომელიც 8 დეკემბერს თავდება. საბჭო იმედოვნებს, რომ ასეთ კეთილ მყოფელ პოლიტიკას რუმინიის მთავრობა შესაფერისად დააფასებს და ამით საბოლოოდ გამოარკვევს რუმინიის პოლიტიკურ ორიენტაციას და [illegible], ან უგულებელ ყოფას საზავო კონფერენციისადმი. არის ნამდვილი საფუძველი ვიფიქროთ, რომ მიუხედავათ რუმინიის შინაურ გაჭირვებათა, რუმინია თავის ჭეშმარიტ მეგობრების რჩევას დაიჯერებს და უმაღლეს საბჭოს გულწრფელ მოწოდებას მეგობრულათ შეეგებება.

გაზ. „მორინგ პოსტი" აცხადებს: „ლიტვინოვის მისიამ საკმაოდ დაამტკიცა, რომ კოპენჰაგენში მისი წასვლის მიზანი არა ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ მოლაპარაკება იყო, არამედ იმის გაგება—შესაძლებელია, თუ არა ზავის შეკვრა ინგლისის მთავრობასა და ლენინ ტროცკის მთავრობის შორის ამ შემთხვევაში ინგლისის მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა ბ.-ი გრადის მოაგონოს, რომ ლიტვინოვის მიზანია საფრანგეთსა და ინგლისს შორის უთანხმოების ატეხა. ჩვენი ეროვნული სახელის დამცველი, ალბათ, ფიქრობს, რომ ჩამოკრა ზარმა, როდესაც ჩვენ ერთ სკამზე უნდა დავსხდეთ იმათთან, ვინც ბოროტ მოქმედებიდან შექნა მეცნიერება და ჩვენ მოკავშირეს არწმუნებს, რომ ჩვენ შემოგვიერთდეს.

უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა მოკავშირე პატარა სახელმწიფოებს გადასცეს სკაპა-ფლოში დაღუპვისაგან გადარჩენილ გერმანელების მცირე გემები.

გერმანული გაზეთები მწუხარებით ადასტურებენ მოკავშირეთა ნოტას პოლიციის მოსამსახურეთა სახით გერმანიის შეიარაღებულ ძალთა გადიდების გამო გამოწვეულს, რაიც ვერსალის ხელშეკრულების პირობებს ეწინააღმდეგება.

გერმანული რადიოს ცნობები

გერმანიის მუშათა ალმშენებლობის კავშირის ორი დელეგატი, რომელიც ფონ სიმსონთან ერთად იყვნენ პარიზში, ბერლინში დაბრუნდენ. მთავრობის პრესა იუწყება, რომ ამ ორ დელეგატსა და საფრანგეთის ასეთსავე მუშათა კავშირის შორის მოხდა სრული შეთანხმება ჩრდილო საფრანგეთის აღორძინების საკითხში ერთად მოქმედების შესახებ.

კელნიდან მოსული ცნობით, საფრანგეთში ყოველ დღე იგზავნება ნახშირით დატვირთული 300 ვაგონი: ერთს თვეში ეს შეადგენს 90,000 ტონს, რაც უთანასწორდება პრუსიის მთელ რკინის გზისთვის საჭირო ნახშირს.

ჰერშილინიგის მაღლობზე ამერიკის გემი—„კერუდ"-ი ნაღმს წააწყდა და ერთი საათის შემდეგ ჩაიძირა. მგზავრები მეთევზეთა ნავებით გადაარჩინეს.

ამ დღეებში გერმანიასა და პოლონეთს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომ ის ოლქები, რომლებიც პოლონეთს დაეთმო, სამხედრო ძალების მიერ განთავისუფლებულ იქნეს და სამოქალაქო მართველობას გადაეცეს. ამ ოლქების განთავისუფლება დაიწყება მეშვიდე დღეს პარიზში ხელშეკრულების რატიფიკაციის პირველ ოქმის შესრულების შემდეგ. პოზნანისა და სილეზიის დაჭერა პოლონელების მიერ 3 დღეში უნდა მოხდეს, აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიისა კი 19 დღეში.

ნაციონალისტური პრესა, არკვევს რა ნოტას პოლიციის შესახებ, აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ მოკავშირეთა ნოტა აშკარათ ამტკიცებს გერმანულ დამოუკიდებლობა და მოკავშირეთა შეხედულებების სოლიდარობასო. საზოგადოებრივ მყუდროების პოლიციის [illegible] მოკავშირეთა მიზანი გერმანიის საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამცველ ორგანიზაციის მოსპობისა ამტკიცებს იმას, რომ მათ დამოუკიდებელთა ბატონობით გერმანიის ქაოსი ურჩევნიათ დემოკრატიულ რესპუბლიკის წესრიგსა და მშვიდობიანობას.

სიკვდილს დაქმეზს

ვინც დაივიწყა მშობელი თვისი,
სიცოცხლე, ტკბილი თავის ქვეყანა,
არც სიყვარული, არც ტანჯვა მისი
წინ არ მიუძღვის, არ მისდევს თანა;
ნუთუ ვერ დასძლევს იმას სინდისი
ვიდრე სიკვდილმა არ წაიყვანა!..

რომ გათბა გული თავისუფლებით,
რომ აგუზგუზდა სამშობლო კერა,—
ხალხმა მამული მოკირწლა ძვლებით,
ზედ გამარჯვება სისხლით დასწერა!—
მზემ გადაფანტა შავი ღრუბლები…
ვინ ურწმუნოა, რომ ეს არ სჯერა!?.

…იყო იუდა, ღვთის მოციქული,
ქრისტეს ძმა ლვიძლი, ერთათ ნათვისი:—
გაჰყიდა იგი!—აილო ფული;
მუნ შეიგრაგნა კუპრი და ფისი…
ძმის წმინდა სისხლში ცოცხლად დამღვრჩვალი
ვერ განიკურნა შავი სინდისი!!!.

და თუ კვლავ ხალხში ფარულად დადის
იუდა ბნელის უკვდავი ცოდვა,
მას არონინებს ჟამი წყვდიადის,
ძმა მოძმის მტერი და ბრიყვთა ბოდვა.
საუკუნეთა შორიდან ისმის
წყევლა-ღაღადი დიადი გოდვა.

„გონება მქისი, უსულო ლეში,
მშობლის და მოძმის ვინ სისხლსა სვამდა,
ვერ გამოხვიდე მზის სინათლეში,
გდევნიდეს ხალხი კაცით კაცამდე!
სიკვდილს ეძებდე შენს სიცოცხლეში
არ მიგიღებდეს უკუნისამდე"!

ცამ დაიქუხა! მზემ წაიკითხა
ჩვენს გულზე წითლათ ამონაწერი:—
ზე გვაქვნი გულნი! განთავისუფლდა,
აღსდგა სამშობლო, გაცოცხლდა ერი.
და ხალხი ამბობს: ვსდევნოთ იუდა,
„ჩამოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი"!

ვ. ტუქხიშვილი.

ახალი ამბები

სამშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე თვითმართველობის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კონფერენცია ყველა თფილისის პარტიულ ორგანიზაციებისა, სადაც ამხ. ნოე ჟორდანია გააკეთებს მოხსენებას დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე. მოხსენების შემდეგ გასარჩევია კითხვები: პარტიული გადასახადის გადიდება თფილისისათვის, პარტიული კვირა და სხვა.

◆ **ყაზბეგიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: კავკავისაკენ გზა შეკრულია. არავითარი სამუშაო არ არის. მოხევეები განიცდიან დიდ შიმშილს ამ ბოლო დროს ჩრდილო კავკასიაში გადასახლდა ოთხას კომლამდე მოხევე ვინც დარჩა, იმყოფება დიდ გასაჭირში. თუ მთავრობა არ დაეხმარა, ხალხი სიმშილით გასწყდება. ვსთხოვთ მთავრობას საჩქაროთ დაეხმაროს და მიაწოდოს სანოვაგე ღირებულ ფასებში.

◆ **მომარაგების სამინისტროდან.** სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობებით, ქალაქში გავრცელებულა ყალბი მოწმობებით ვაჭრობა. ბოროტ-მოქმედნი ამზადებენ და დიდ ფასებში ყიდიან მათ მიერ დამზადებულ ყალბ მოწმობებს რესპუბლიკის საზღვრებიდან ამა თუ იმ საქონლის გატანის შესახებ. სამინისტრო აცხადებს, რომ ყველა ის პირნი, რომელთაც ყალბი ნებართვა აღმოაჩნდებათ, გარდა იმისა, რომ მათ უფასოთ ჩამოერთმევათ გასატანათ დანიშნული საქონელი, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით.

◆ **ჩვენი ფულის კურსი** დღითი დღე იზრდება. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა ბათუმში. იქ თითქმის ორჯერ მეტი ფასობს ქართული ფული, ვიდრე თფილისში და საქართველოს სხვა ადგილებში დონის ფულთან და „კერენკებთან" შედარებით. 60 პროცენტით მეტი ღირს ჩვენი ფული საქართველოში თითქმის ყველგან, ბათუმში კი გაზ. „სამუსლიმანო საქართველოს" გადმოცემით: „ამ ჟამად ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ქართული ბონებისა. ვაჭრები თითქმის ყოველგვარ საქონელში ქართულ ფულს მოითხოვენ. თფილისის გაზეთები ბათუმში ქართულ ფულზე იყიდება 5 მანეთად თითო ცალი, დონის ფულზე კი 10 მ. ასეა ფასები თითქმის ყველა საქონელზე. 3 დეკემბერს ქართული ბონები 100 პროცენტით მეტს ფასობდა".

თფილისის ქალაქის სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ ამ დღეებში გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, თითქოს ის აზურდავებდეს დონის ფულს „კერენკებს", გაუგებრობაა. სასურსათო განყოფილება არავითარ ფულს არ აზურდავებს.

◆ **აჯანყება დენიკინის ჯარში.** გაგრიდან მიღებული ცნობის თანახმად, დენიკინის ფრონტზე ყაზახთა უკმაყოფილებამ იჩინა თავი. ყუბანის ყაზახთა მთელმა პოლკმა ფრონტი დასტოვა.

— პრეს ბიუროში მიღებულ ცნობით, ეკატერინოდარში ყუბანელთა 3 პოლკი აჯანყებულა. მიზეზათ ასახელებენ კოლობუხოვის ჩამოხრჩობას და რადის სხვა 11 წევრის დაპატიმრებას. ამის შედეგი ყოფილა დენიკინის ბრძანება რადის 11 დატუსაღებულ წევრთა შეწყნარების შესახებ.

◆ **ბანკეტი საქარ. მისიის პატივსაცემათ.** გაზ. „ტან"-ის 4 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია დეპეშა იმ ბანკეტის შესახებ, რომელიც იტალიის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს გაუმართავს საქართველოს მისიისათვის. ბანკეტს დაესწრენ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ფერრარის და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის სფორცას გარდა, სხვა სამინისტროების უმაღლესი მოხელენი და მრეწველობის წარმომადგენელნი.

◆ **ქალაქის გამგეობა** აცხადებს რომ ნოემბრის შუა რიცხვებიდან გაიხსნა ქალაქის მეორე საავადმყოფო შინაგანი და ვენერიული განყოფილებით დიდი მთავრის ქუჩაზე ყოფილ ალექსანდრეს სახელობის სავადმყოფოს შენობაში. ამბულატორიული გასინჯვა სწარმოებს ყოველ დღე გარდა კვირისა დილის 10—12 საათამდე. მწოლიარე ავადმყოფები მიიღებიან ყოველ დროს.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტება.** შემოსულ შეკითხვის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო საჭიროდ სცნობს განმარტოს, რომ შინაგან საქ-

მინისტრის სავალდებულო დადგენილება, 29-ნოემბრის თარილით გამოცემული, საქართველოს რესპუბლიკაში სასროლ იარაღის ტარების აღკრძალვის შესახებ, რომელიც ჯარშია შეტანილი, არ შეეხება საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ აფიცრებს და სამხედრო მოხელეებს, სახალხო გვარდიის წევრებს, რომელთაც კანონიერი მოწმობა აქვთ გვარდიის შტაბისაგან და აგრეთვე იმ თანამდებობის პირთ, რომელთაც სამსახური ავალებს იარაღის ტარებას“.

✦ **თამბაქოს მალულად გატანა საზღვარ გარეთ.** მომარაგების სამინისტრო აცნობებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მის მიერ სოხუმიდან მიღებულ ცნობებით თამბაქოს მონოპოლიის გამოცხადების შემდეგ, სოხუმიდან ფარულად გააქვთ თამბაქო სხვადასხვა საშუალებით. მომარაგების სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიიღოს ამის წინააღმდეგ საჭირო ზომები.

✦ **თემთა გადარიცხვა.** დამფუძნებელი კრების მმართველობის კომისიამ დაადგინა თიანეთის მაზრიდან წოვის, ...მის, პირიქითისა და გომეწარის ...რობო თემები გადარიცხულ იქმნას ...ლავის მაზრაში.

✦ **შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთათვის.** გზათა კომისიამ დაამტკიცა პროექტი სახაზინო რკინის გზის შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დახმარებისათვის გაწეულ ხარჯების დასაფარავად 5,925,000 მანეთის გადადების შესახებ.

✦ **ბათომ-ნატანების გზის საექსპლოატაციოდ** გზათა კომისიამ მოიწონა გზათა მინისტრის პროექტი სახელმწიფო ხაზინიდან 7,167,350 მან. გადადების შესახებ ბათომ ნატანების რკინის გზის ნაწილის საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად 1919 და 1920 წლის ანგარიშში.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 7 დეკემბერს, სალამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 3 განყ. (ნუცუბიძე) ...) ი. ჟრემაშვილი „ეკონომიურ საკითხებზე“. 2) ი. ანთაძე „საქართველოს ისტორია“. 5 განყ. (წმ. ნინოს რაიონი) 1. მ. შალამბერიძე „ქიმია“. 2) ს. ...ილიძისა „საუბარი საქართველოს ...რსულზე“. 3) ასათიანი „საფრანგეთის რევოლიუციიდან“.

✦ **საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება.** ოთხშაბათს, 10 დეკემბერს, ...ოლინის ქუჩაზე, № 11, სალამოს 7 საათზე შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც წაკითხულ იქმნება შემდეგი მოხსენებანი: ტ. მარგველაშვილის „მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის წარმოების განვითარება ჩვენში“ და ი. გოგოლაშვილის „შთაბეჭდილებანი სტამბოლიდან“.

✦ **მუშათა კლუბში** (პლეხ. პროსპ). ...ღეს სახელმწ. საზ. და კერძო დაწ. ...მცრ. მოსამ. პროფ. კავშ. არს. ქართ. ...რის მიერ წარმოდგენილი იქნება ეგნატე ნინოშვილის მოთხრ. გადმ. „ქრისტინე“. ...დგილების ფასი სახალხოა.

✦ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს 7 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ...ორველ აუდიტორიაში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-დემოკრატ. სტუდენტთა „ფილოსოფიურ-ეკონომიურ წრეში“ ამხ. ნიკ. იმნაიშვილი წაიკითხავს მორიგ ლექციას ფილოსოფიაზე.

✦ **ეშმაკის მათრახი.** გამოვიდა „ეშმაკის მათრახის“ № 2 შინაარსი: ...ლუმი—ლექსი თაგუნასი, ეკონომიური წვეთები—ეშმაკისა, „კომუნა“—ლექსი ...ბუტუნასი, „ზურგი“—ესკიზი თაგუნასი, „ქრონიკა“, დარიგება ეშმაკის მათრახის თანამშრომელთათვის, „ვინა ...ო ახალ თაობა არ ვარგაო“—გოგიასი, „ორი თამრიკო“—გუგულისა, „ორი ...ეტიქე“—თარგმანი, „საკითხი ძაღლთა შესახებ“—მორიელისა, ბუტუნას რაიონი. ნომერში მოთავსებულია რვა კარიკატურული სურათი. იყიდება კანტორა „განათლებაში“ შემდეგი მორიგი ნომერი გამოვა კვირას, ხოლო 12 დეკემ., პარასკევს. გამოვა რიგს გარეშე სპეციალური „გვარდიის დღის“ აღსანიშნავათ. ეს ნომერი დაიბეჭდება განსაკუთრებულ ქაღალდზე მოთავსებული იქნება გარდა იუმორისტიულ წერილებისა სხვადასხვა მწერლების წერილები და მრავალი სურათები გვარდიის ცხოვრებიდან. ნომრის ფასი ჩვეულებრივი იქნება.

✦ **„მუშათა ცხოვრება“.** 12 ამ თვეს გამოვა სპეციალური ნომერი ჟურნალი „მუშათა ცხოვრება“ „გვარდიის დღის“ აღსანიშნავად. ჟურნალში მოთავსებული იქნება წერილები გვარდიის შესახებ და მრავალი სურათები გვარდიის ცხოვრებიდან.

კ რ ე ბ ე ბ ი.

კვირას, 7 დეკემბერს დილის 10 ს. შესდგება პურზე მომუშავე მუშათა დელეგატების კრება. სთხოვენ ყოველი ფურნიდან თითო წარმომადგენლის დასწრებას (რუსთაველის პრ. № 17, სახ. ...ამაზასპისა). ამავე დღეს, ამავე ბინაზე დილის 10 ს. პურზე მომუშავეთა კავშირი იწვევს საკანდიტერო საზულეთა მუშების კრებას. დაბეჯითებით სთხოვენ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, 7 დეკემბერს, სალამოს სრულ 6 ს. დანიშნულია საქ. ახალ. მარქსისტთა თფილისის ორგანიზაციის მეორე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— კვირას 7 დეკემბერს დილის 10 საათზე შრომის ბირჟაში დანიშნულია „პროლეტარი ნემსის“ კავშირის წევრების საზოგადო კრება. წევრების დასწრება აუცილებელია.

— დღეისთვის დანიშნული სახელმწიფო უნივერსიტეტის კოოპერატივის „ჩვენი ოჯახი“-ს წევრთა კრება სხვადასხვა მიზეზების გამო არ შესდგება.

— დღეს 7 დეკემბერს სალამოს 5 საათზე შესდგება საქ. ახ. მ. ორგ. ცენტრალური კომიტეტის და ჟურნალ „ახალი კვალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრთა კრება. ცეკას ბინაზე.

უკანასკნელი ცნობები

მთიელთა ჯარების გამარჯვება.

გაზ. „ადერბეიჯანი“-ის მიერ მიღებული ცნობებით მთიელთა ჯარები ყიზლიარის მაღლობებიდან შეტევაზე გადასულან თემირ ხან შურისაკენ. სოფ. ქვემ ჯუნგუშტაიში მოხდა შეტაკება მთიელთა ჯარებისა და ყაზახებ შორის, სადაც უკანასკნელნი დამარცხებულ იქნენ. შეტაკებაში დაიხოცა და დაიჭრა 300, ტყვეთ იქნა წაყვანილი 135. ყაზახებმა თემირ-ხან-შურისაკენ დაიხიეს, მაგრამ მცირე ბრძოლის შემდეგ მთიელებმა ეს ქალაქიც აიღეს. მთიელებმა დაიკავეს აგრეთვე სადგ., მანასი პეტროვსკის მიმართულებით. ამ სადგურებით მიმოსვლა სწყდება დერბენტსა და პეტროვსკის შორის. საზოგადოთ მთიელთა ჯარების მარცხენა ფრთას გამოცოცხლება ეტყობა, რომელსაც პეტროვსკი—თემირ ხან-შურა—არაქსის ხაზი უკავიათ. ამის გამო მოხალისეთა სარდლობა ახალ ძალებს გზავნის მთიელთა მარცხენა ფრთის წინააღმდეგ.

გვარდიის დღისათვის

12 დეკემბერს.

დღესასწაულის ხასიათი: საერთო სახელმწიფოებრივი, მატერიალურ ინტერესს მოკლებული, და არა იძულებითი.

წინასწარი მუშაობა: ცნობება პროვინციებს და ფართე საზოგადოებას: პრესის, აფიშების, რეკლამების, მოწოდებებისა და სხ. საშუალებით სხვადასხვა კომისიების დაარსებისა და მატერიალურ სამზადისის შესახებ.

ქალაქის შემკობა (ყვავილებით, დროშებით, ნოხებით და სხვა) აეროპლანების გადაფრენა ქალაქზე და ფურცლების დაფანტვა. საყვირის დამკვრელები ავტომობილებიდან აცნობებენ ხალხს დღესასწაულის დაწყობას; ზარბაზანი გაისვრის შვიდჯერ.

დილის ათ საათზე თავისუფლების მოედანზე ჯარის აღლუმი, ესტრადაზე გვარდიის შტაბი მიიღებს მოლოცვებს, **სიმბოლო:** ჯარის, გვარდიის და ხალხის დაძმობილება, ნ. ნ. ჟორდანია გვარდიის (რევოლიუციის) მომავალ ძეგლის ასაგებათ აირჩევს ცენტრალურ ადგილს. პროცესია: პროფესიონალური კავშირები, ბავშვები, შევარდენი—იქვე გუნდი: კაპელასი, ლოლუას, კავსაძის, შეერთებული მოწაფეებისა და სამხედრო მილიციისა და სასწავლებელთა ორკესტრები.

12 საათზე სასახლესთან მისვლა, დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის თავმჯდომარეების სიტყვები. 1 საათზე სობოროს გალავანში სახალხო მარშის შეჯიბრება. ქუჩაზე სპეციალური გაზეთებისა და სახალხო გვარდიის ლია წერილების გაყიდვა, ქუჩაზე მიტინგები, სიმღერები და პოეტთა და მწერალთა გამოსვლა.

1 საათზე სახაზინო თეატრში მიტინგი (ფასიანი) და მხატვრული აპოთეოზი.

ალექსანდრეს ბაღი—შევარდენის ვარჯიშობა.

სასახლის ბაღი—ბავშვების დღესასწაული.

სალამოს—სადღესასწაულო სპექტაკლები, მუშათა კლუბებში მხიარულება და ფანრებით სიარული სეირნობა.

ილიუმინაცია ზარბაზნებიდან სროლა. მამა დავითის მთიდან რაკეტები და სადგურიდან შემკული მატარებლის გასვლა.

ქუჩაზე შემკობილი ავტომობილები, ეტლები და ცეცხლის მკრობელთა რაზმი.

ქართულ კლუბში და სახელმწიფო თეატრში ფასიანი გრანდიოზული პროგრამა და კლუბში შტაბის, დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის ბანკეტი.

ყველა რაიონებში გაიმართება ამ დღისათვის სპეციალური სპექტაკლები.

გვარდიის დღის მომწყობი კომისია.

სახალხო გვარდიის დღის მომწყობმა კომისიამ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა ყველა სამაზრო და საოლქო სახალხო გვარდიის შტაბს.

ამა წლის დეკემბრის 12 ს შესდგება საზეიმო, საყოველთაო „სახალხო გვარდიის დღის“ დღესასწაული.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მიერ არჩეულია დღესასწაულის მომწყობი კომისია.—აღნიშნული კომისია იძლევა წინადადებას მიიღოთ ცნობისათვის და ასასრულებლათ შემდეგი სადღესასწაულო პროგრამა:

1) პარადი ადგილობრივ სახალხო გვარდიის და გარნიზონის (გარნიზონების უფროსებთან შეთანხმებით). პარადს მიიღებს ადგილობრივი სახალხო გვარდიის შტაბი.

2) შეძლების დაგვარათ საჭიროა მორთოს სახლები, ქუჩები, მოედნები ბაირაღებით, ხალიჩებით და პლაკატებით. ამისთვის უნდა მოუწოდოს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

3) გაიმართება მიტინგები, კრებები ახსნა და განმარტებით სახალხო გვარდიის მნიშვნელობის შესახებ.

4) მოწყობა წარმოდგენების და სხვადასხვა გასართობები ადგილობრივ თეატრებში და კლუბებში,

5) შესაძლებელი თუ იქნება, სადამოს გაიმართოს ილიუმინაცია.

6) სასურველია პარადზე მონაწილეობდეს ორკესტრი, ზეიმზე კი ორკესტრი და მომღერალთა გუნდები.

7) ყველა ხარჯები უნდა დაიფაროს საზეიმო დღის შემოსავლით, რომელიც შემოვა წარმოდგენებიდან და სხვა გასართობებიდან და შემოწირულებიდან.

ყულაბებით ფულის შეგროვება არაა სასურველი.

8) სადღესასწაულო ზეიმის მოსაწყობათ ადგილობრივმა შტაბმა წინასწარ უნდა აირჩიოს განსაკუთრებული კომისია.

რკინისგზელთა საყურადღებოთ და ასასრულებლათ.

გვარდიის დღეს საგანგებო მატარებლები არ იქნება. სამაგიეროთ მორთული იქნება სადღესასწაულოდ მატარებელი № 1, რომელიც გავა თფილისიდან 11 ში სალამოს 11 საათზე და 30 წუთზე, ხოლო ბათუმში ჩავა დილის 10 საათზე 12 დეკემბერს. თვით 12 ში მორთული გავა თფილისიდან მატარებელი № 3, 9 ს. და 59 წ. ფოთისკენ. ამ მატარებლების ორთქლმავლები ხაშურმა და ზესტაფონმა უნდა მორთონ წითელი დროშებით, მწვანით და პლაკატებით.

ფოთის ამხანაგებს ევალება შესაფერად მორთონ მატ. № 4, რომელიც ფოთიდან გამოვა 12 ში დილით.

საზოგადოთ ამ დღეს, 12 დეკემბერს, ყველა მატარებლები და ორთქლმავლები შეძლებისდა გვარად უნდა მორთონ თვით ადგილობრივმა ამხანაგებმა, საიდანაც მატარებელი ან ორთქლმავალი გამოვა სამუშაოდ

ნიშნების გაყიდვა და ყულაბებით ფულის მოგროვება არ იქნება. ხოლო ხარჯის დასაფარავად გაიყიდება ყველგან ჟურნალ გაზეთები და ლია წერილები.

ამხანაგებო, ემზადეთ!

გვარდიის დღე მთელი დემოკრატიის დღეა. გვარდიაზეა დამოკიდებული ჩვენი თავისუფლება, ჩვენი არსებობა.

მიეცით დღესასწაულს ფართე ხასიათი.

კომისია.



ნიკო სულხანიშვილი

(კიკუშა)

ვარდ ყვავილების საშაღნაროში
მოვიდა იგი ნათელ ოცნებით;
მოვიდა იგი საქართველოში
და იგალობა ზეშთაგონებით.

დიდხანს მღეროდა ენა მზიური,
დიდხანს ისმოდა ციური ხმები;
ჩამოილეველფა ის ნიჭ ღვთიური
და ბულბულივით შეკუმშა ფრთები,

ის მოკვდა, ხოლო სიმღერა მისი,
მარად უკვდავი და მშვენიერი,
სცოცხლობს, იცოცხლებს და იგუგუნებს,
ვიდრე არსებობს ქართველი ერი.

გ. ქურიშვილი.

სიყვარული

ვანის წარწერები წაიკითხეს, იეროგლიფები ახსნეს და ვერ იქმნა, ვერ აგვიხსნეს სიყვარული. ვერ ამოიკითხეს ქვეყნიერობის დასაბამისას დაწერილი და დღემდე გაურკვეველი მისი მატიანე.

აი ჩემს წინაშე მიუწდომელი ვარსკვლავებივით ციმციმებენ მისტიური სიტყვები და მტანჯავენ თვისი ამოუცნობლობით.

— სიყვარული, სიყვარული, სიყვარული!..—მოესმის იგი და მივყევარ სიხარულისა და ტანჯვისაკენ, ქარიშხლისა და მწუხრისაკენ, მწვერვალებისა და უფსკრულისაკენ.

მეშვიდე ცის ლაჟვარდი სიწყნარე ისეთი მომხიბლავი არაა, როგორც სიყვარულის ნაზი ცქრიალი.

პლატონის მშვენიერების ზღვა ისე არ იტაცებს, ისე არ აჯადოებს ოცნებას, როგორც სიყვარულის თვალები.

ნეტავ რა ძალაა სიყვარული, რომ კაშკაშა დღეს გვაკვნესებს და ხან თრის ღამეს გვიჩახჩახებს სავაზაფხულოდ.

რად გვიმონავებს იგი ჩვენ, რომელთაც ასე გატაცებით გვიყვარს თავისუფლება.

რატომაა, რომ მონობის ბორკილებთან თავ განწირულად მებრძოლებს საკმარისია მოგვევლინოს სიყვარულის ზორცსხმული ზღაპარი, ჩამოიხედოს ჩვენს სულში მეოცნებე ფირუზი თვალებით, დაუკაკუნოს გულს ბულბულის ტია ტიათი და მორჩა, ასრულდა... ჩვენ უკვე დამონებული ვართ, ჩვენ სიამტკბილობით ვეგებებით მისს ხუნდებს.

აბა შეჰხედეთ აიმ გოგონას; ისა სჭედავს ჩემთვის ფოლადზე უმაგრეს ბორკილებს, ის მიმზადებს მონობის ხუნდებს და მე როდი მწყინს, როდი ვედრები გამძვინვებულს, ჭანგ-გაბასრულს ლომს მისს შესამუსრად...

პირიქით, მიხარიან... მე ნეტარებითა ვთრთი და ალტაცებით ვეგებები მისს ბორკილებს, თუმცა დარწმუნებული ვარ ვეღარასოდეს ველირსები მისგან განთავისუფლებას.

უცნაურია, ღმერთმანი... მე, რომელსაც ისე მძაგს მონობის ბორკილები, რომ თუნდა ჯანჯგარიში სიცოცხლე მომეცა,—ყველას მყის მოვსპობ, ბორკილებს კი არ ვატარებ,—სასოებით ვეგებები აიმ გოგონას, რომელიც, მართალია, ფრიად სუსტია, მაგრამ ისე მძიმე, შეუმუსრავ ბორკილებს სჭედავს ჩემს დასამონად...

და რატომა ხდება ასე, რატომ? რატომაა ასე სასწაულ-მომქმედი სიყვარული? სიყვარულის მეოხებით მე უდიადესი კანონი აღმოვაჩინე ბუნებისა.

ტყუილად სდევნით ნიუტონს. იგი სასტიკად სცდება „სიმძიმის კანონით“.

არსი სრულებითაც არ მიილტვის მიწას... აი მე ცისკენ ვილტვი...

მე მიწისკენ უნდა ვიხრიდე, მაგრამ აბა შემომხედეთ, რა ფრთა ლაღად მივჭრი ცისკენ.

მე აღმოვაჩინე ახალი, ჭეშმარიტი კანონი...

მე ვაცხადებ, რომ ადამიანი, უკეთუ მასში ოდნავ მაინც ღვივის სიყვარული, —ილტვის ცისკენ..

მიუხედავად ამ კანონისა, მაინც ვერ მივწვდი სიყვარულის საიდუმლოს, ვერ გამოვიცან მისი თილისმა...

ენით მეტყველნო, თქვენ ხომ სასწავლებს ახდენთ მეცნიერებაში, თქვენ ხომ არც ერთი სიტყვა არ დაგრჩენიათ გაუმარტავი, ამიხსენით: რას ნიშნავს სიყვარული? მიპოვნეთ ფესვი ამ სიტყვისა. გამაცანით მატიანეს მისის წარმოშობისას... ამიხსენით მისი შინაარსი დასაბამიდან გამოურკვევი...

თავი ჩაგიქინდრიათ და ყრუდ სდუმხართ, მეცნიერებო.

მაშ რა ეშმაკებში მდგომარეობს თქვენი მძლეთა მძლეობა, თუ ვერ ამიხსნით, ვერ განმიმარტავთ სიყვარულს, რომელიც, მართალია, ერთი ბეწო სიტყვით გამოითქმის, მაგრამ უდიდესი მიზეზია კაცობრიობის დაუსრულებელ ძიებისა.

ლ. თურდოსპირელი.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა:

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში სამხედრო ფონდიდან 500,000 მან. სამხედრო მოსამსახურეთათვის მატერიალურ დახმარებისათვის.

— დამტკიცებულ იქნას ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი გადიდებული ნიხრი საზომ-საწონის შემოწმებისა

— პრინციპიალურად მიღებულ იქნას შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება იტალიელ პროფესორის მოწვევის შესახებ მალერია თან საბრძოლველად.

— თფ. თავშესაფარის საჭიროებისათვის გადადებულ იქნას 320,767 მან. 93 კ. ამის შესახებ სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

— გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 25000 მანეთი ... თათ მილიონიან ... ... ფონდიდან, ... ექიმ ფერშალთა ოჯახებისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

— განათლებას მინისტრის მოხსენება მიღებულ იქნას და მიეცეს მას უფლება გააუქმოს კარის ეკლესია.

იუსტიციის სამინისტროში

სავალდებულო სამუშაო დღე სასამართლოს უწყების დაწესებულებათათვის. იუსტიციის სამინისტრომ ცირკულიარული განკარგულება გასცა რესპუბლიკის ყველა სასამართლო დაწესებულების და თანამდებობის პირთადმი, რათა ყველგან ურღვევლივ კანცელარიებში საქმიანობა იწყებოდეს დილის 9 საათზე და სრულდებოდეს 3 საათზე, ხოლო საქმეების გარჩევა იწყებოდეს სწორედ 10 საათზე.

ლაგოდეხის ამბოხების საქმე. ლაგოდეხის რაიონში მომხდარ ამბოხების საქმის გამოძიება დაამთავრა თფილისის ოლქის სასამართლოს წევრმა ი. ა. კობიაშვილმა. მთელი მასალა გაეგზავნა სამხედრო სამინისტროს.

მახარაშვილის ბინაზე თავდასხმა. დეკემბრის პირველს სამი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ლონგინოზ მახარაშვილის ბინას (შერემეტიევის შესახვევი). სასამართლო პალატის პროკურორმა წინადადება მისცა მეთორმეტე უბნის კომისარს საქმეზე კვლევის 24 საათის განმავლობაში დამთავრებისა შესახებ საქმის თფილისის გარნიზონის უფროსისათვის გადაცემით.

უცხოეთი

რ უ ს ე თ ი.

საბჭოთა რუსეთის ფინანსები. სტოკჰოლმის გაზ. „სოციალ დემოკრატენ“ ის ცნობით საბჭოთა რუსეთის 1919 წლის პირველ ნახევრის ბიუჯეტი შემდეგი სახისაა: შემოსავალი—20 350,000,000 მან.; გასავალი—50.703,000,000 მან.; დეფიციტი—30 353,000,000 მან. რკინის გზათა ექსპლოატაციამ აღნიშნულ დროს განმავლობაში დასტოვა დეფიციტი 4 250,000,000 მანეთი.

გენ. ბრიგსიც არაა კმაყოფილი. 29 ოქტომბერს დონის ატამანის სასახლეში სადილი გაუმართეს ინგლისიდან ახლად ჩამოსულ გენ. ბრიგსს და მის ამალას. წარმოთქმულ სიტყვაში გენ. ბრიგსმა სხვათა შორის შემდეგი განაცხადა: სამწუხაროთ უნდა ვსთქვა, რომ ჩემი წასვლის შემდეგ თქვენი ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულა. არაფრით არ შეიძლება იმ მოვლენის გამართლება, რომ საქონლის ფასებს ასე წარმოუდგენლათ აუწევია, რაც მძიმე უბედურებათ აწევა ხალხს. არ შეიძლება გამართლება იმიტომ, რომ სამხრეთი რუსეთისა ევროპაში ცნობილია, როგორც ყოველგვარ დოვლათის სამეფო. შექმნილ მდგომარეობაში მთელი პასუხისმგებლობა მთავრობას დაეკისრება, რომელიც, ალბათ, ვერ აწარმოებს შესაფერ ბრძოლას სპეკულიაციის წინააღმდეგ. თუ მთავრობის მიზეზით ეცემა მრეწველობა და წარმოება,—ეს იმის მომასწავებელია, რომ უსათუოდ კატასტროფას უნდა ველოდეთ, რომლის გამოსწორება, შეიძლება, შეუძლებელიც იქნეს. უ ხლოესი მიზანი, რომელიც მთავრობამ უნდა დაისახოს, გენერალის აზრით, არის ნედლი მასალის გატანის მოწესრიგება. შემდეგ ებრაელთა „პოგრომების“ შესახებ ბრიგსმა განაცხადა, რომ ეს მოვლენა ჩირქს სცხებს რუსეთს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა თვალშიო.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.

დაბადებისა და სიკვდილის სტატისტიკა. საფრანგეთში გამოაქვეყნეს ჯვრის წერის, სიკვდილის და დაბადებათა რაოდენობის შესახებ ცნობები 1918 წლის თვის. წინა წლებთან შედარებით ეს ცნობები საშიშ სურათს იძლევიან. 1916 წელში დაბადებულთა რიცხვი 1912 წელთან შედარებით ორჯერ შემცირდა. შემდეგ ცოტა მოიმატა, მაგრამ მშვიდობიანობის დროსთან შედარებით დაბადებულთა რიცხვმა 1918 წელს მაინც 200,000 სულით იკლო. გარდაცვალებულთა რიცხვი სიჩქარით იზრდება. გასულ წელს გარდაცვალებულთა რიცხვი 384,000 სულით მეტი იყო დაბადებულებისაზე. საფრანგეთში ორჯერ მეტი კვდება, ვინემ იბადება. შემდეგი ციფრები ნათლათ მოწმობენ, თუ რა მდგომარეობას განიცდის ამ მხრივ საფრანგეთი:

1912 წ. 1915 წ. 1918 წ.

ჯვრის წერის რაოდენობა 258,534; 75,327; 177,822

დაბადებულთა . . 608,690; 387,806 399,041

გარდაცვალებულთა 579,175; 655,146; 788,575.

უ კ რ ა ი ნ ა

ბრძოლა სიძვირესთან. სიძვირესთან ბრძოლის მიზნით ერევნის ქალაქის თავმა სასურსათო სამინისტროს შემდეგის თხოვნით მიმართა: 1) ნება დაერთოს ქალაქის თვითმართველობას რეკვიზიცია უყოს სპეკულიანტების საქონელს, რომლებშიც ხელოვნურად სწევენ სურსათის ... ფასს, ან მალავენ საქონელს სარდაფებში; 2) ნება დაერთოს დააჯარიმოს 4 000 მანეთით ან 1 თვის ციხეში ჩასმით ის გვამები, რომლებიც საქონელს ... ... გაყიდიან.

ზედა პალატის რეფორმა. კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეიმუშავებია პროექტი სენატის რეფორმის გასატარებლათ, უკვე დაათავა მუშაობა და წარმოადგინა თავისი მოსაზრებები. დღემდე სენატორათ არჩევისათვის საჭირო იყო დიდი ქონებრივი ცენზი, რომელიც წლიურათ 1,200 ფრ. გადასახადით განისაზღვრებოდა. კომისიამ შემდეგი ახალი პირობების დაკანონება სცნო საჭიროთ: აირჩევა სენატორათ ისეთი პირი, რომელსაც განსაკუთრებული სამსახური გაუწევია სამშობლოსათვის. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველას, ვინც 21 წლისანი არიან. არჩევნები პირდაპირისა და ფარული ხმის მიცემით ხდება. სენატში ირჩევა 4 მეხუთედი სენატორებისა, ერთი მეხუთედი კი მიიღება კოოპტაციის საშუალებით. ფიქრობენ, რომ პროექტი დიდ კამათს გამოიწვევს და საგრძნობათ იქნება შეცვლილი.

ი ნ გ ლ ი ს ი.

გერმანია-ავსტრიის მისია. გაზ. „დეილი-მეილის“ ცნობით ლონდონში ჩასულა ავსტრო გერმანიის მისია. მისია მოიწვია შიმშილობასთან საბრძოლველათ დაარსებულ ლონდონის კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარეა ლორდი პარმური. განზრახული იყო მისიის შემდეგი შემადგენლობა: 14 გერმანელი და 7 ავსტრიელი; მაგრამ ინგლისელების მოთხოვნით ეს რიცხვი შემცირებულ იქნა 7-მდე. ამათში 4 გერმანელია: ედ. ბერნშტეინი, პროფ. ბრენტანო, კარლ კაუცკი და პროფ. ოპპენჰეიმერი; 3 ავსტრიელი—ოტტო ბაუერი, დ რი ელენბოგენი და ფონ-ვიზერი. ისინი მიზანია დაუსურათოს ინგლისის კომიტეტს ავსტრია გერმანიის შინაური მდგომარეობა, კერძოთ, მდგომარეობა ბავშვებისა, რომელთაც საკვები რძე არა აქვთ. მისია მოითხოვს, რათა არ წაერთვას გერმანიას მეწველი ძროხები, რომელიც გადაცემულ უნდა იქმნეს მოკავშირეებზე საზავო ხელშეკრულების თანახმათ.

ინგლისის მისიები რუსეთში. ინგლისის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა თემთა პალატაში გამოაქვეყნა ცნობები ინგლისის მისიების შემადგენლობისა და მათი დანაკარგის შესახებ რუსეთში. ამ ცნობების თანახმად ციმბირის სამხედრო მისიაში ირიცხება 190 აფიცერი და 341 უნტ.-აფიც. და ჯარისკაცები; სამხრეთ რუსეთში—356 აფიც. და 1,102 უნტ. აფიც. და ჯარისკაცები; ბალტიის მხარეში—44 აფიცერი და 54 ჯარისკაცი. ბალტიის მხარეში ინგლისს დაუკარგავს დახოცილი და დაჭრილი 39 ოფიც. და 160 ჯარისკაცი. ინგლისის ესკადრას ბალტიის ზღვაში დაუკარგავს 2 მსუბ. კრეისერი, 2 კონტრ ნაღმოსანი, 1 წყალქვეშა ნავი, 8 მოტორიანი გემი და 3 ტრალერი.

ა მ ე რ ი კ ა

ბრძოლა სამუშაო დღის შესამცირებლათ. ვაშინგტონის სამრეწველო კონფერენციის მიერ შეკრებილ ცნობების თანახმათ შეერთებულ შტატებში მომხდარ გაფიცვების მთავარი მოტივი სამუშაო დღის შემცირებისათვის ბრძოლა იყო. 1918 წლის 1 ლ ოქტომბრიდან გაფიცვების 34 პროც. ამ ლოზუნგით სწარმოებდა და დასრულდა სრული გამარჯვებით. ამერიკის შრომის ფედერაცია მოითხოვს ყოველ კვირეულ 44 საათ. სამუშაო დროს დაკანონებას. იმ შემთხვევაში, თუ უმუშევართა რიცხვი გაიზარდა, ფედერაცია წამოაყენებს მოთხოვნილებას სამუშაო დროს კიდევ უფრო შემცირების შესახებ.

ჩ ე ხ ო ს ლ ო ვ ა კ ი ა.

ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან. ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მასსარიკმა ოლმიუცკის კარდინალთან ბაასში აღიარა საჭიროება ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებისა. ამას მოითხოვს, მასსარიკის აზრით, არა მარტო სახელმწიფოს ინტერესები, არამედ თვით კათოლიკური ეკლესიის დანიშნულება.

ქართლისაკენ

(დღიურები)

26 ნოემბერი.

საგანგებო სასამართლოში.

წვიმა და სიცივე. სამხედრო-საველე სასამართლოს ხალხი მოაწყდა. ღია კარებში ირჩევა ქიზიხეთის შეთქმულობის საქმე. ხალხში ლაპარაკი და დავაა.

12 საათზე და 35 წუთზე საველე სასამართლოს თავმჯდომარე მიხელ ლაშქარაშვილი (გვარდიის წარმომადგენელი) სასამართლოს სხდომას ხსნის ლია კარებში შემდეგი სიტყვებით: „მოქალაქენო! გორის მაზრაში მომქმედ ჯარისა და გვარდიის რაზმების სამხედრო-საველე სასამართლო დღეს ღია კარებში არჩევს ქიზიხეთის შეთქმულთა საქმეს, რომელთაც მიზნათ ჰქონდათ ...

გზის დამცველ გვარდიელთა დახოცვა, რკინის გზის აღება, „ტუნელის" აფეთქება, ხაშურის არსენალის და გვარდიის შტაბის დაპყრობა და თანამედროვე დემოკრატიული წესწყობილების დასამხობათ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. მიუხედავათ იმისა, რომ სამხედრო საგანგებო სასამართლოს შეუძლია დახურულ კარებში მუშაობა, ჩვენ საქმეს ვარჩევთ ღია კარებში, რომ ხალხისთვის აშკარა გახდეს ის ავაზაკური და საშინელი მოძრაობა, რომელმაც საფრთხეში ჩააგდო ჩვენი ქვეყანა და ხალხი დაარბია, გამოიწვია სისხლის ღვრა და მსხვერპლი. სასამართლო პასუხის მგებელია კანონის, სინიდისის წინაშე და ის არ დასჯის უდანაშაულოს, მხოლოდ დამნაშავეს შესაფერათ გაასამართლებს".

სხდომას დიესწრო დიდ ძალი ხალხი. დარბაზში ტევა აღარ იყო.

დარბაზში შემოიყვანეს დამნაშავენი. წინასწარი გამოძიება-დაკითხვა, როგორც დამნაშავეების, ისე მოწმეების დამთავრებული იყო. დაიწყო ხელმეორეთ, სახალხოთ, ხალხის წინაშე.

თავმჯდომარე ლაშქარაშვილი: რას იტყვით ბრალდებულო არჩილ სოლომონის ძე ქალიაშვილო, იმ შეიარაღებულ გამოსვლების მეთაურობისათვის, რომელიც თქვენ მოაწყვეთ ბუხრიკაშვილთან ერთად და მიზნათ დაისახეთ რკინის გზების ხელში ჩაგდება, გვარდიელების დახოცვა, ხაშურის აღება და „ტუნელის" გზის გადაჭრა?

ბრალდებული ქალიაშვილი: არეულობის 4—5 დღის წინათ ღამის 12 საათზე ჩემთან მოვიდა ილია გომარელი და მითხრა ბუხრიკიძე გიბრძანებს მოდიო. მე წაველი. მასთან დამხვდნენ ჩემი მეზობლები. ბუხრიკიძემ გამოგვიცხადა, რომ ჩვენ მივყავართ არსენა ლომიძის წინაალმდეგ. ამის შემდეგ ჩვენ მიგვიყვანა ლოქაფიძეების სახლში, სადაც ცოტა ხნის შემდეგ გაანთავისუფლა ტყვეობიდან ორი გვარდიელი ერთი ლომიძე, მეორეს გვარი არ ვიცი. შემდეგ წაგვიყვანა ბელლეთის მთაში, სადაც დაიბარა, ტეზრელი გიგუცა აბრამაშვილი, რომელსაც გაგვაყოლა მე, ფიდო გომარელი, სუთიაშვილი, გ. ლაცაბიძე ტეზერში იარაღის და ხალხის მოსაკრებათ. აბრამიშვილის მეთაურობით იქ შევკრიბეთ იარაღი და ხალხი და როდესაც დავბრუნდით, მაშინ ბუხრიკიძემ დაგვიწყო ლაპარაკი, რომ ეხლა საჭიროა „ტუნელის" დაჭერა, იქაურ მცველების განიარაღება. მთელი გვარდია „მონათლული" მყავს, როცა მოვინდომებ, ჩემს მხარეზე გადმოვაო. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მთავრობას, დავამხოთ არსებული წესწყობილება. ბუხრიკიძეს ეხმარებოდნენ ნიკო და სანდრო ლორთქიფანიძეები, რომლებიც ამბობდნენ, ჩვენ ბალშევიკები ვართო. ისინი ემზადებოდნენ.

თავმჯდომარე. სცნობთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავეთ?

ქალიაშვილი. ცხადია, დამნაშავე ვარ.

ბრალდებულმა ნიკო მ. სუთიაშვილმა თავმჯდომარის შეკითხვაზე, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: „ბუხრიკიშვილმა ჩვენ გამოგვიცხადა," რომ ბალშევიკი ვართ. ჩვენი მიზანია რკინის გზის ხიდეები და „ტუნელი" დავიჭიროთ, გვარდიას იარაღი ავყაროთ და გამოუცხადოთ მთავრობას ბრძოლაო".

ბრალდებული ილია გომარელი ალიარებს, რომ ბუხრიკაშვილი მეთაურობდა „ტუნელის" და რკინის გზების აღებას, გვარდიელთა იარაღის აყრას და ხიდეების დანგრევას. ბრალდებულნი საერთოდ იმეორებენ, რაც წინეთ აჩვენეს გამომძიებელთან.

იწყება მოწმეების შეკითხვა.

მოწმე ზეროზაშვილი: არეულობის რამოდენიმე დღის წინეთ საღამოს ჟამს ჩვენს სოფელში მოვიდა არჩილ ქალიაშვილი და სვიმონ ხუთიაშვილი, ხუთი უცნობი შეიარაღებულებით. იმათ მე წამიყვანეს ჩემი თოფით. მიმიყვანეს ბელლეთის მთაში, გზაში ქალიაშვილი და მისი ამხანაგები დახვრეტით მემუქრებოდენ. როცა მთაში ავედი, იქ ბუხრიკიძე (ბუხრიკიძე არის ბუხრიკაშვილი, ხაშურის ბალშევიკურ სამხედრო მოძრაობის მეთაური) ლაპარაკობდა და ემზადებოდენ „ტუნელისაკენ" დასაცემათ. მე დაბნელებისას დრო ვიშოვნე და გავიპარე.

მოწმე ილია ბლიაძე. (გვარდიელი) ღამის 8 საათზე რამოდენიმე შეიარაღებულებით დამეცა თავს ბუხრიკაშვილი, დამატყვევეს და საბძელში დამამწყვდიეს. მე გამომიცხადეს, რომ შუაღამისას უნდა წავყვე და გადავცე ხიდის მცველების იარაღი.

მოწმე ილ. კვინიკაძე. ბუხრიკაშვილი ხალხს და იარალს აგროვებდა ქალიაშვილის დახმარებით.

მოწმე დ. ივ. გოგიტაშვილი. ალექსანდრე ბუხრიკაშვილი შეიარაღებული ოსებით შემოესია ჩვენს სოფელს, გამოგვიცხადა, რომ ხალხს ყაჩაღები შემოესია და ყველა უნდა შეკრიბოსო. ცვიშხეთში შეკრიბა დიდძალი ხალხი და გავსწიეთ ბელლეთის მთაზე. მთიდან წავიდენ სოფ. ტეზერში ქალიაშვილი, სუთიაშვილი, გომარელი და სხვები, ხალხის და იარაღის მოსაკრეფათ. როცა მთაში ყოველ მხრიდან მოვიდა ხალხი, ბუხრიკაშვილმა გამოაცხადა: ჩვენ უნდა დავეცეთ „ტუნელს", სახალხო გვარდიის შტაბსო. ამ განცხადებაზე ხალხი შეშინდა. დავიწყეთ გაპარვა. მე გავიპარე. ამის შემდეგ რა მოხდა არ ვიცი.

მოწმე გელაშვილი. ჩემთან მოვიდა ბუხრიკაშვილი, ქალიაშვილი და მიბრძანეს,—წადი ხიდის მცველებთან და ვისაც უნდა წამოვიდეს და, არსენა ლომიძეს (ყაჩაღი მოკლულია) უნდა შევუერთდეთ მატარებლის გადასაბრუნებლათო.

მოწმე ს. ლოქაფიძე: ყანაში ვმუშაობდი, ვხნავდი, როცა ქალიაშვილი შეიარაღებული პირებით მოვიდა და მიბრძანა, წამოდიო. მე გავძალდი. მაშინ სიკვდილით დამემუქრენ. მოხუცმა მირჩია წავყოლოდი. გავყევი. მთაში დიდი თავყრილობა იყო. ლაპარაკობდნენ „ბალშევიკებმა" გაიმარჯვესო. ბუხრიკაშვილი მეთაურობდა. ხალხში რყევა იყო. ღამით სათითაოდ გაპარვა დავიწყეთ.

დანარჩენმა მოწმეებმაც ზემო აღნიშნული დაადასტურეს. დაუმატეს მხოლოდ, რომ ისინი ხალხს არწმუნებდენ, ხაშურის გვარდია ჩვენს მხარეზეაო.

3 საათზე სასამართლო განაჩენის გამოსატანათ გავიდა. დარბაზში სიწყნარე ჩამოვარდა. მხოლოდ აქა იქ ჩუმათ ისმოდა:

— „დაღუპეს ხალხი ბალშევიკებმა."

4 საათზე და 20 წუთზე სასამართლო შემოდის.

თავმჯდომარე კითხულობს სასამართლოს განაჩენს წყნარათ

1919 წელს 26 ნოემბერს, საქართ. დემოკრატ. რესპუბლიკის სახელით გორის მაზრის სამხედრო საგანგებო სასამართლომ განიხილა რა ზემოხსენებული ქვიშხეთის მცხოვრებთა საქმეები, რომელთაც დაბრალდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა და ტუნელის, ხიდეების აფეთქება და სახელმწიფოში არსებული წესების გადატრიალება, დაადგინა: არჩილ ქალიაშვილი, სიმონ სუთიაშვილი, ფიდო გომარელი სისხ. სამ. დებულების 100 მუხ. ძალით მესამე პუნქტისა 5 ივლისის 1918 წ. კანონის მეორე პუნქტის ძალით, ცნობილ იქნენ დამნაშავეთ—(ჩამოთვლილია დანაშაულობანი) და არ. ქალიაშვილი დაისაჯოს სიკვდილით — დახვრეტით, მხოლოდ მეორე 12 წლის კატორღით, მესამე 8 წლით.

დანარჩენებს სასამართლომ მიუსაჯა სხვადასხვა ვადით ციხე.

ობოლი მგზავრი.

მუშათა შორის

წმ. ნინოს უბანი. განაპირა მუშათა უბნებისათვის კულტურულ დაწესებულებების დიადი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. წმ. ნინოს უბანი მოკლებულია ასეთ კულტურულ დაწესებულებას და მრავალი მუშა, მოქანცული ფიზიკურ ყოველ დღიური შრომით, საღამოზე იძულებული ხდება სადმე ღვინის სარდაფში ჰპოვოს განცხრომა, ვინაიდან არა აქვს ახლოს ის ნავთ-საყუდელი, სადაც მოღლილ მოქანცულს შეეძლოს ესტეტიურად დატკბობა. ალბათ ზოგიერთი განაპირა რაიონების ორგანიზაციები უფრო ადრე მიხვდენ ამ ბოროტებას და იმიტომ არის, რომ მუშათა კლუბების დაარსება ჩვეულებრივ მოვლენა შეიქმნა, რადგანაც ამ კლუბებში გაშლილი ქსელი არის საშუალება დემოკრატიის კულტურულათ დარაზმვისა. წმ ნინოს უბანში ჯერ კიდევ 1914 წ. ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა მუშებთან ერთად დაარსა ამ უბანში უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რომელმაც ბევრი ჩხრეკა და დევნა გადაიტანა თავის ზურგზე ნიკოლოზის მთავრობის დროს, მაგრამ მაინც მოაღწია აქამდე. არსებობდა აგრეთვე ამ უბანში წმ. ნინოს სახელობის საეკლესიო შენობაში სამრევლო სკოლა, რომელიც აგერ ერთი თვეა რაც ქალაქის თვითმართველობამ გადაიტანა ამ უბნიდან, თუმცა კარგა მოშორებით, მაგრამ სამაგიეროთ, უკეთეს შენობაში.

არსებობს აგრეთვე ამ უბანში სცენის მოყვარეთა წრე ეგრედ წოდებული „არნონ", რომელიც წარსულ წლებში მართავდა წარმოდგენებს ავჭალის აუდიტორიაში და თითქმის მარტო ამ უბნის დემოკრატია ავსებდა ხოლმე შენობას. მიზანი ამ „არნონისა" იყო ამ უბანისთვის სახალხო თეატრის ფონდის შექმნა. ეს დამამტკიცებელია იმისა, რომ არის მოთხოვნილება და ენტუზიაზმი იმ სულიერი ტაძრის რასაც ჰქვიან თეატრი (მუშათა კლუბი). ეხლა ეს ყოფილი სკოლის შენობა, მშვენიერი, სუფთა, თითქმის უმიზნოთ და უსარგებლოთ სცდება; იქ მოთავსებულ იქნა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წიგნთ საცავ სამკითხველო და მე 5 თე სახალხო უნივერსიტეტის ქართული განყოფილება, არის ამ შენობაში ხუთი ოთახი, ტეხნიკურათ ადვილათ გადასაკეთებელი თეატრათ. შენობას, როგორც ეკლესიის კუთვნილებას, განაგებს ამავე ეკლესიის საბჭო, რომლის წინაშეც იშუამდგომლა წმ ნინოს უბნის სამოქალაქო ბიურომ, რათა დაეთმოს მას ეს შენობა, მუშათა კლუბის მოსაწყობათ, რაზედაც მიიღო მან საბჭოს მიერ თანხმობა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ გამოცდილი ტეხნიკოსთა გამოანგარიშებით ამ საქმეს დასჭირდება 50,000 მან. აღნიშნულ უბნის ბიუროს სურვილი ფრიად სიმპატიური აქვს, მაგრამ თანხა კი არაფერი, ამიტომ მან თავის ერთ-ერთ კრებაზე იქონია მსჯელობა და გადასწყვიტა მიმართოს იმ დაწესებულებებს, რომლებთა ზნეობრივ ვალიც არის იზრუნონ თავიანთ ნაპირას გარიყულ ამხანაგებზე და უმცროს ძმების სულიერათ აღზრდაზე და იმედიც აქვთ, რომ სხვადასხვა დაწესებულებები და საზოგადოებები თავიანთ წვლილს გაიღებენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმისთვის.

წმ. ნინოს უბნის სამოქალაქო ბიუროს თავმჯდომარე დ. თევდორაშვილი.

ავლაბრის მუშათა კლუბი. 1 დეკემბერს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა, რომელმაც განიხილა: 1) წესრიგის დაცვა კლუბში; 2) ოპერეტკის დადგმა; 3) ჯამაგირების მომატება ბუფეტში მოსამსახურე ქალთ; 4) ბენეფისები; 5) წარმოდგენის დღის მომატება სომხურ სექციას; 6) ავანსები. წესრიგის დაცვის შესახებ გამგეობამ დაადგინა: მიენდოს პრეზიდიუმს და რეჟისორებს რათა შემოღებულ იქნეს ისეთი წესრიგი, როგორიც შეეფერება დემოკრატიის ღირსებას; გამგეობამ გადასწყვიტა დაიდგას ისეთი ოპერეტკები დრო გამოშვებით, რომელთაც გამრჯენელი მნიშვნელობა არ ექნება მასსის თვალში. არჩევა ენდობა პრეზიდიუმს; ჯამაგირები ბუფეტში მოსამსახურე ამხანაგ ქალებს მიუმატოთ დღეში თითო თუმანი; ბენეფისების შესახებ გამგეობამ გადაწყვიტა მიეცეთ ბენეფისები მსახიობთ, მხოლოდ რომელი დროიდან დაიწყება ბენეფისები, ამის განაწილება მიენდოს პრეზიდიუმს გამგეობასთან შეთანხმებით; ავანსები საერთოდ არა სასურველად ალიარა გამგეობამ, მხოლოდ როგორც გამონაკლისი, შესაძლებლად სცნობს ავანსის მიცემას, თუ კი ამას რეჟისორი თავისი პასუხისმგებლობით მიიღებს. გამგეობის თავმჯდომარეს საშუალება ეძლევა ავანსის საკითხი გადაწყვიტოს თითონ. წარმოდგენის დღის მომატება სომხური სექციისთვის: გამგეობამ უარყო წინადადება სომხური სექციისა ერთი დღის მომატების შესახებ ვინაიდან წინა სხდომამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალით სომხურ და ქართულ სექციებს თითო წარმოდგენა მიეცეთ კვირაში, ამიტომ წინანდელი დადგენილება რჩება ძალაში. სხდომის დასასრულ გამგეობამ მოისმინა თხოვნები და განცხადებები: მაისურაძის თხოვნა მიენდოს გამგეობის თავმჯდომარეს, გადაწყვიტოს თავის შეხედულებისამებრ. მოხეტიალე მუსიკოსს ილ. ქურხულს დაეთმოს კლუბის დარბაზი 5 დეკემბრისთვის.

ვერხვი.

თფილისი. 5 დეკემბერს მილიციის სამმართველოში შესდგა კრება. დაესწრნენ კომისარიატიდან კანცელარიის მომუშავეები 15 კაცი და ქალი, ხოლო სამმართველოს მწერლებთაგან 35, თუმცა მოსამსახურეთა რიცხვი ერთ მეხუთედსაც არ შეადგენდა, მაგრამ რადგან ეს კრება იყო პირველი დამფუძნებელი, ამისთვის კრება ერთხმათ კანონიერათ იყო აღიარებული. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა არსენიძე, მდივნათ ოდიშარია. კრებამ არჩია კომისია 5 კაცისგან. კომისიას ევალება შუამდგომლობა აღძრას მილიციის პროფესიონალურ კავშირთან, რათა წევრებათ იყვნენ მიღებულნი კავშირში მილიციის ყველა სამმართველოს და კომისარიატების კანცელარიის მომუშავენი. კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) ოდიშელიძე, 2) კურტუბაია 3) არსენიძე, 4) მანველოვი, 5) თოფურია. კანდიდატები ქ. ალიხანიშვილისა და კაკაურიძე.

კომისიის წევრი ალიხანიშვილი.

ს.-დ. პარტიაში

ხ. შუხუთი. ამ ერთი თვის წინად ლანჩხუთის ს. დემოკრატიულმა კოლექტივმა თავი დაშლილათ გამოაცხადა და დაადგინა, რომ ქ. ლანჩხუთმა დაარსოს ცალკე ორგანიზაცია (ქალაქის სოც. დემოკრატიული კომიტეტი) და განაპირა სოფლებიც ასე მოიქცენო. ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა აღნიშნულ სოფლებში მცხოვრები ამხანაგები, რომელნიც არ იყვნენ მომხრე ასეთი გათიშვისა, ვინაიდან ეს საერთოდ მუშაობისთვის მავნებლათ მიაჩნდათ; მით უმეტეს, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელი იყო არსებულ ადმინისტრატიულ ერთეულების გადამიჯვნა, რაც შეიძლება ქ. ლანჩხუთს და მის მიდამოებსაც შეხებოდა. მიუხედავათ ამისა კოლექტივი დაიშალა. ამ გადაწყვეტილების მეორე დღესვე მოხდა პარტიული კრება ს. შუხუთში, რომელმაც მწუხარება გამოსთქვა მომხდარი ფაქტის გამო და აირჩია რამოდენიმე ამხანაგი, რომელთაც დაევალათ ქ. ლანჩხუთის პარტიულ კრებაზე ამ საკითხის აღძვრა, რათა ამ უკანასკნელს არ დაედასტურებია ძველი ორგანიზაციის დაშლა. მაგრამ რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ ლანჩხუთში ასეთი კრების მოწვევა დაგვიანდებოდა და მეორე მხრით ორგანიზაციის გამთელების იმედიც ცოტა იყო, ამიტომ შუხუთელი ამხანაგების აღნიშნულმა კრებამ დაადგინა, მიუხედავათ თავისი სიპატარავისა, დაარსებულ იქნას ს. ს. დ. ული მუშათა პარტიის შუხუთის ორგანიზაცია, რომელშიაც ითვლება 230 წევრი. არჩეულ იქნენ კოლექტივში: ნინა დ. იმნაიშვილი. ნოე აფხაძე, ნიკო იმნაიშვილი, ნიკიტა იმნაიშვილი, ივანე ორაგველიძე, დიომიდე იმნაიშვილი, გიორგი ფირცხალაიშვილი და იაგორ გვარჯალაძე.

გურიის კომიტეტის წევრათ არჩეულ იქნა ნიკო ვ. იმნაიშვილი (მასვე დევალა დელეგატად წასვლა საოლქო ყრილობაზე.

ქ. ლანჩხუთის პარტიულმა კრებამ დაადასტურა ლანჩხუთის კოლექტივის დადგენილება და ამ გვარად ორგანიზაციების დაყოფა მომხდარი ფაქტია.

თუ რამდენათ სასურველი იყო აღნიშნული დანაწევრება ორგანიზაციისა, ამას მომავალი დაგვანახვებს. მხოლოდ აღსანიშნავია ის, რომ ამ დადგენილებით პატარა სოფლები ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

შუხუთის ორგანიზაცია განაგრძობს მუშაობას, მხოლოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ აქა იქ თავს იჩენს პირადი კინკლაობა, რაც რასაკვირველია შეიძლება გახდეს მუშაობის სრულიად დამღუპველი. ამიტომ ერთის მხრით საჭიროა ყველა წევრმა შეიგნოს და შეითვისოს ბრძოლის კულტურული წესი, რომლითაც შეიძლება ყოველგვარი გაუგებრობა გაიფანტოს და ყველამ იცნოს ხელმძღვანელ ორგანოთა ავტორიტეტი და მის გარშემო შეთანხმებულათ იმუშაონ. მეორე მხრით ხელმძღვანელი ორგანოები (და ყველა ამხანაგებიც) ვალდებული არიან განამტკიცონ რაც შეიძლება სასტიკი და მკვეთრი პარტიული დისციპლინა.

ჟამისოდ მუშაობა დაიღუპება ყველგან, განსაკუთრებით სოფლად.

ქენჭი.

პროვინცია

ნოხირი (ახალ-სენაკის მაზრა). სამწუხაროა, რომ ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულ მიწას მუშა შესაფერად ვერ ამუშავებს, სოფლის მუშა მოკლებულია მუშის დასამუშავებელ იარაღებს და ის მარტო პირველ ყოფილ მიწის სამუშაო იარაღ-კავს დაყრდნობია, მაგრამ ამ კავითაც ათასი მიზეზების გამო მიწა შესაფერად არ მუშავდება და მოსავალიც ნაკლები მოდის.

ყველა ამას ზედ ერთვის ყოველ წელს წყალდიდობა და ეს მუშას უკანასკნელ იმედს უკარგავს არსებობისას, მდ. ტეხურიდან გამოსული წყალი სპობს, ანადგურებს ყოველგვარ ჭირნახულს. 1905 წელს, განსვენებულ ფილუ ნიკურაძის და სხვათა მეთაურობით იქნა შეგროვებული რამოდენიმე ასი მუშა და სულ მოკლე ხანში გააკეთეს დამბა იმ ადგილას, საიდანაც წყალი გადმოდიოდა და ეს დამბა იფარავდა აწიოკებისაგან რამოდენიმე სოფელს უკანასკნელ დრომდის, მაგრამ მდინარემ ამ 14 წლის განმავლობაში თავისი კალაპოტი გამოიცვალა და ზოგან დამბაც გაფუჭა.

თუკი 1905 წელში შეიძლებოდა ამ საქმის სასურველად მოგვარება და ყოველ წლის აწიოკებისაგან თავიდან აცდენა, ნუ თუ ეს ახლა შეუძლებელია, სოფლელთა ამგვარი გულცივობა არის ნაყოფი შავრაზმელთა ქადაგებისა, რომელნიც ჯერ კიდევ აქაიქ ბუნდრობენ და ხალხს ახალ წყობილების და ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგოთ ამხედრებენ. ეს ვაჟბატონები ესირცხვილოდ პირდებიან აუარებელ თეთრ პურს, ჩითს, მიტკალს და ყველაფერს, თუ კი ისინი ჩვენს მთავრობას უარყოფენ, ვინაიდან ეს მთავრობა მათ გადასახადებს აწერსო.

აუცილებელია ტეხურის ძველ კალაპოტისაკენ გადაგდება შემდეგ დამბის ზოგან შესწორება და ზოგან ახლის გაკეთება, რაც სოფლელებს აოხრებისაგან დაიხსნის. ამის მოსაწესრიგებლად სავალდებულო უნდა იყოს ყველასი ერთსულოვნად სამუშაოდ გამოსვლა მცოდნე პირის მეთაურობით.

კალისტრატე ბოხუა.

წერ. რედაქციის მიმართ

ბ ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მომცეთ ნება გამოუცხადო ღრმესი მადლობა მეცხრე ათასეულის უფროსის, ოფიცრებს და ჯარის კაცთა სახელით რაბათის (ქ. ახალციხე) ქართულ სამკითხველოს გამგეობას, რომელმაც ათასეულის ჯარისკაცთა წიგნთსაცავისათვის შემოსწირა 53 სხვადასხვა დარგის წიგნები. იმედი გვაქვს, რომ სხვებიც მიაქცევენ ყურადღებას ამ წასაბაძ მაგალითს.

ათასეულის კულტურულ განმანათლებელ კომიტეტის დავალებით უფროსი ლეიტენ. მარინაშვილი.

განცხადებანი

ინგლისური ცხენი

იყიდება საჯარო ვაჭრობით 8 დეკემბერს, დილის 10 საათზე სამხედრო სკოლის ეზოში.

(3208—1—1)

სამკურნალო

(ყოფ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

გ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.
ი. ტეროვაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო
ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.
ტ. განჟუმოვი 11—12. ქალთა საბებ.
„606" და „914" ყოველ დღე.

რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი გ. გ. ხანაძე.

((2937—თ.)

ექიმი კ. ტუშმალიშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ოზურგეთში ექიმი ს. მ. აბაშიძე მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით, კ. სიმაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ექიმი ნ. დ. [illegible] იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

ექიმი ქალი ი. მ. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ელინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას [illegible] (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ქალ. სამტრედიაში ექიმი ი. ი. [illegible] იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" „914") ვენერიულ [illegible] შედეგები) და შინაგან სნეულებიან[illegible]. მისამართი: [illegible] ლეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი დ. შ. ჯაგაბიშვილი. იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662)

ექიმი დ. ა. ხარაძე. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—[illegible] საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8[illegible] ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ბ. ს. [illegible] სპეციალისტი სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბავშვების ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28 (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible] შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰპქების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № [illegible] გრიბოედოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავშ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავშ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914". (2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი. შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ბ. დ. [illegible] სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914", მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—8 ს. მიხეილის პროსპ. სასტუმრო „ნოვ[illegible]" პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

თუ გსურთ, რომ თქვენი ფეხსაცმელი დიდხანს ძლებდეს და დაცული იყოს გაფუჭებისა და სინესტისაგან—გირჩევთ მოიტანოთ თქვენი ახალი ან ძველი ფეხსაცმელი

მაღაზია „საძირე"-ში

(маг. „ПОДОШВА")

მიხეილის პრ. № 129,



სადაც ახალი წესით მკვიდრად ვაკრავთ ტყავის საძირეზე ფირმა **„ტრეუგოლნიკის"** რეზინის საძირეს. რეზინის საძირეში წყალი სრულიად არ ჟონავს და ასრულებს გალოშის მაგიერობას. იქვე აახლებენ ძველ გალოშებსაც. ფასები ხელმისაწვდომია.

(3215—2—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ **„სორაპანი"**-ს მიერ გამოცემული

1920 წ. კედლის— სახალხო— მოძრავი— **კალენდარი**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფქმეები დალაგებულია ახალ სტილზე დაქ. [illegible]

მისამართი: თფილისი, სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძე. (4150—5—[illegible]

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

მთავარ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ [illegible] (26 მაისის [illegible]

(2901—14—10)